*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**წევრები:**

თავმჯდომარე: თამარ აბაზაძე

ვერა ბენიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ელენე კურდღელია (საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი, წევრი);

ნათელა ბასილია (უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეა ხუროშვილი ( ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ გორის მუნიციპალიტეტის ფხვენისის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 218047307 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ფხვენისი |
| იურიდიული მისამართი | გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ფხვენისი |
| ფაქტობრივი მისამართი | გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ფხვენისი |
| საფოსტო ინდექსი | 1400 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | არ აქვს |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | pkhvenisi@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577418313 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2023 წლის 10.07.-ის ბრძანება MES 5230000855115 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 01.08.2023-02.08.2023 |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფხვენისი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფხვენისი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფხვენისი |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 1 და 2 აგვისტოს, კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. შეხვედრას ესწრებოდა ასევე გორის რესურსცენტრის უფროსი ქალბატონი ნანა ტერმაკოზაშვილი.პროცესი წარიმართა სკოლისადმი წარდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. საგნობრივ ექსპერტებსა და კათედრის წევრებს შორის გასაუბრებები ჩატარდა ვიზიტის პირველ და მეორე დღეს. როგორც დაწესებულების წარმომადგენლების, ისე ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოიკვეთა მაქსიმალური მზაობა თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნის შესაბამისად ვიზიტის წარმატებით განსახორციელებლად. ექსპერტების მხრიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის გადმოგზავნა ნაწილობრივ სკოლამ შეძლო შესაბამის ვადებში.

### VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

### VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). .

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრები სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი რგოლია. საგნობრივი კათედრების წევრები აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან ერთმანეთთან, მუდმივ რეჟიმში იკრიბებიან და ერთობლივად გეგმავენ გასატარებელ ღონისძიებებს, მსჯელობენ სკოლაში სწავლა სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე. კათედრის ფარგლებში მასწავლებლები ერთად მუშაობენ, საგნობრივ კურიკულუმებზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ასევე, თანამშრომლობენ სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან გეგმავენ ერთობლივ გაკვეთილებსა და პროექტებს. სკოლის ყველა თანამშრომელი ქმნის მოსწავლეების განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒**შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 200 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ☒ | |

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

### III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა

---

### IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ" შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა".*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.2.1.4* | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. | სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა ერთწლია სამოქმედო გეგმა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციი სკოლამ უნდა განსაზღვროს 2023-24 წლის სამოქმედო გეგმა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გაზომვა ინდიკატორები და კონკრეტული რეალისტური ვადები. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული* | |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი N3.4.1.1.. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორია ფიზიკური უსქფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას პირველადი დახმარების აღმოჩენას. | სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისომის გეგმით განსაზღვრუ ვადებში სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნ მოპოვება 2024 წლის 15 ივნისისთვის, 11 თვის პერიოდში. |
| ინდიკატორიN3.6.3.1. | სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; | სკოლამ უზრუნვალყოს შესაბამისობის გეგმის მიხედვი განსაზღვრულ ვადებში ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაცი განთავსება. გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამისი გვერდ სრულყოფა მოხდეს 2023 წლის 30 დეკემბრისთვის, 4თვ ვადაში. |
| ინდიკატორიN3.6.3.4. | სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; | სკოლამ უზრუნვალყოს შესაბამისობის გეგმის მიხედვი განსაზღვრულ ვადებში ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაცი განთავსება. გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამისი გვერდ სრულყოფა მოხდეს 2023 წლის 30 დეკემბრისთვის. 4თვ ვადაში. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორიN3.6.3.5. | ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. | სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის მიხედვი განსაზღვრულ ვადებში ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაცი განთავსებაზე. გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამი გვერდის სრულყოფა მოხდეს 2023 წლის 30 დეკემბრისთვი 4თვის ვადაში. |
| | | |
| **.*სტანდარტი N4*** | ***მოსწავლეთა მხარდაჭერა*** | ***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N….* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი **N2** | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდიკატორი N…. | | …………… |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.... | | ............... |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N3.2.1.2. | პერსონალის განვითარება ხორციელდე[ბა] გამოვლენილი საჭიროებების საუძველზ[ე] შემუშავებული გეგმის შესაბამისად | რჩევა: სკოლის დირექციას მიეცა მითითება რომ სკოლ[ის] დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით დაემოწმები[ნა] ყველა ზემო აღნიშნული დიკუმენტაცია. |
| ინდიკატორი N3.1.2.4 | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამე[ბა] დაკავებულ თანამდებობას | რჩევა: დასაქმების ობიექტურობისა და შრომის კოდექს[ის] დაცვის მიზნით სასურველია სკოლამ განათლებისა [და] მეცნიერების სამინისტროსთან შეათანხმოს დარაჯ[ის] დამატებითი შტატი |
| ინდიკატორიN3.1.2.2. | სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა | სკოლას გააზრებული აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პოლიტიკა. აქვს კარგი გამოცდილება საჭიროების შემთხვევაში დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით განსაზღვროს და დააკისროს შესასრულებელი სამუშაო კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულს/პირს. თუმცა უმჯობესი იქნება თ[უ] იგი შეიმუშავებს ერთიან დოკუმენტს, რომელშიც პრევენციული სახით გაწერილი იქნება შესაბამის სიტუაციაში პერსონალის მართვის პოლიტიკა. |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N4.2.2.1 | კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის | უმჯობესი იქნება სკოლა არ შემოიფარგლოს მხოლო უმაღლესი სასწავლებლებით და პროფესიულ ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულები ითანამშრომლოს პროფესიულ კოლეჯებთან. ასევე კარგ იქნება თუ თანამშრომლობის პროცესში გაფორმდებ მემორანდუმი სკოლასა და უმაღლე სასწავლებელს/პროფესიულ კოლეჯს შორის. |
| | | |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.1. | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;<br>დაწყებითი საფ.-მუსიკა | 1.დაკონკრეტდეს შესასწავლი საკითხები თემებ მიხედვით. დაწყებით საფეხურზე თითო ან ორი საკითხ მოცემული. 1-4 კლასებში იხელმძღვანელეთ ახალ გრიფმინიჭებული არჩეული ავტორებ სახელმძღვანელოებით და ისე შეავსონ საკითხები, იხელმძღვანელონ სამინისტროს (დავით ზათიაშვილ მიერ შექმნილი) კომპლექსური დავალებების ბანკით.<br><br>2.დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმშ გადახედეთ და დააზუსტეთ ბოლო სვეტი, სასწავლ რესურსი. მიუთითეთ სწორი ფორმი სახელმძღვანელო/კლასი/გამომცემლობა/გვერდი. |

| | | |
|---|---|---|
| | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მე- ,მე-5კლ. | 5 კომპლექსურია გაწერილი,პირველ თემაში თემატურ ბლოკის მაგივრად თემა წერია,ხოლო თემის გრაფაშ ქვეთემა. სამიზნე ცნებების გრაფაში მხოლოდ ქვეცნებებ გიწერიათ,ჩაწერეთ სამიცზე ცნებები. რესურსში თქვ მასალა გაქვთ მითითებული. გრაფაში მხოლო სახელმძღვანელოს გვერდები ან დამატებითი რესურსებ იწერება.<br><br>მე 5კლ-მითითებულია პალიტრა L, მაგრამ თემები ა ემთხვევა სახელმძღვანელოს. |
| | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება 1 და მე-2 კლასი. | იხელმძღვანელეთ ახალი გრიფმინიჭებული არჩეულ ავტორების სახელმძღვანელოებით. |
| ინდიკატორი 2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;<br>მე-4 კლასის მე და საზოგადოების<br>მე-5-6 კლასის ჩვენის საქართველო | კურიკულუმების ჩარჩოების სავალდებულო ნაწილი შეივსოს სრულად. |
| ინდიკატორი 2.1.2.5. | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ წინარე გამოცდილების ანალიზი.<br>დაწყებითი საფეხური: საბუნებისმეტყველ კათედრა | კათედრებზე კიდევ ერთხელ გადახედონ პედაგოგებმ კურიკულუმის ჩარჩოებს და მოახდინონ მისისრულყოფ სასურველია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა გამოიყენონ შესასვლელი და გასასვლელი ბილეთებ მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარებ საბუნებისმეტყველო საგნებში ექსპერიმენტებისა დ ცდების განხორციელებებისას, მოსწავლეებმა აწარმოო დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, რათა თავა შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელ გზების ძიება, რაც ეტაპობრივად დაეხმარება მა |

| | | |
|---|---|---|
| | | სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარ სწავლების პროცესი.<br><br>სასურველია სკოლა ჩაებას STEM-საგნები გაძლიერების მიზნით სხვადასხვა სასკოლო საერთაშორისო, სხვადასხვა უნივერსიტეტების მიე შემოთავაზებულ რეგიონალურ , თუ საერთასორის პროექტებში. |
| ინდიკატორი N2.1.2.2. | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);<br><br>დაწყებითი საფ: ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებას დაემატოს ქვეცნება, რათა ორიენტირება მოხდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე, კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილ იქნას და დაზუსტდეს კონტექსტ მაგალითები. შესაბამისად ფორმულირდეს დავალების იდეა, მოხდეს მრავალფეროვანი რესურსების შეთავაზება/გაწერა როგორც მატერიალური ისე ელექტრონული. მასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად. |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდპირველად, დასკვნის პროექტის თანახმად, რიგ სტანდარტებთან მიმართებით, შეფასდა როგორც არ „შეესაბამება" (პირველი სტანდარტის -კომპონენტი 1.2; მესამე სტანდარტის - კომპონენტი 3.4; 3.5 და კომპონენტი 3.6.), უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით. ექსპერთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია სტანდარტების უმრავლესობასთან მიმართებაში, რის შედეგადაც განხორციელდა მათი მეტწილ ან სრულ შესაბამისობაში გადატანა.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორის 1.2.1.4 სრულად დაკმაყოფილების თაობაზე. კერძოდ, შესაბამისობის გეგმის ვადების დაცვით, სკოლამ შეიმუშავა და წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა, მასში არ იყო გაწერილი სტანდარტით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა სტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და კონკრეტული რეალისტური ვადები.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას აქვს შემუშავებული მისია,ხედვა დარირებულებები, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

კერძოდ **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის მისიაა**:თავისუფალი და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი პიროვნების აღზრდა, გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბება მოსწავლისა, რომელიც გაიაზრებს მდგრადი განვითარების მიზნებსა და საკუთარ როლს, აიღებს პასუხისმგებლობას თავის გადაწყვეტილებებზე.

- მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობისთვის საჭირო უნარ- ჩვევების განვითარება

- სწავლების უნიკალური დიზაინის შეთავაზება და ინკლუზიური გარემოს შექმნა
- მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და თვითრეალიზება

**სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის ხედვაა:**გახდეს წამყვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, შეძლოს საკუთარი წარმატებული პრაქტიკის ეროვნულ დონეზე გაზიარება და სწავლების ყველა საფეხურზე განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება, ასევე თანამედროვე ხედვებისა და გამოწვევების შესაბამისად მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბება.

სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებიდან და ასახავს სკოლისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტებს, რაც ასევე დასტურდება სასკოლო საზოგადოებსათან გასაუბრებითა და სკოლაში განხორციელებული თუ დაგეგმილი აქტივობებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.სკოლის ხედვაში გაწერილი და დეკლარირებულია სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული პირების ინტერესები, მეთოდოლოგიაში აღიწერა, თუ როგორ მოახდენს სკოლა აღნიშნული პროცესის წარმართვას, ანალიზს და შეფასებას. კერძოდ: სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრულ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნას, მშობელთა ჩართულობას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში,იგეგმება ასევე სკოლის სასწავლო რესურსების მუდმივ განახლება და თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება. სკოლას აქვს მზაობა შესაბამისი ინფორმაცია დაფიქსიროს სკოლის დოკუმენტაციაში, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, დებულება, ბრძანება, პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები, ერთწლიანი სამოწმედო გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი და ა.შ. ყველა დოკუმენტში გათვალისწინებულ იქნება პიროვნული განვითარების ორიენტირები და შესაბამისობაში იქნება მისიასთან.

სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სადაც მასწავლებლები მუშაობენ გუნდურად, საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები . მოსწავლეებისათვის შექმნილია ფიზიკური სივრცე და ხელმისაწვდომია ყველა რესურსი მისიით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. არაფორმალური განათლება და განხორციელებული ღონისძიებები მიმართულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. სკოლას აქვს მცდელობა წარმოაჩინოს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცედ.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია ასახავს მისიის , ხედვისა და ღირებულებებუს შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. დირექტორის 2023 წლის 03.04. ბრძანება N 1/კ -40 შეიქმნა სკოლის ფილოსოფიის გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფი, მათ მიერ შემუშავდა კითხვარები სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის,რაც დასტურდება ამავე ჯგუფის 2023 წლის 04.05.-ის სხდომის ოქმიN1-ით. 2023 წლის 16.06 -ის ოქმიN2 განხილულ იქნა მიღებული უკუკავშირი და აღნიშნული ცვლილებები გათვალისწინებულ იქნა მისიის,ხედვის, ღირებულების საბოლოო სახით ფორმულირებისათვის. სკოლას დაოქმებული აქვს ყველა აქტივობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4.სკოლამ უზრუნველყო მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო სახის საჯაროობა, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებით, შეხვედრებით პედაგოგიურ კოლექტივთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან. მისია, ხედვა, ღირებულებები გამოკრულია სკოლის პირველ სართულზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე. მათი გაცნობა შესაძლებელია სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირთათვის. გარდა ამისა, მათი განთავსება იგეგმება დაწესებულების ვებ-გვერდზე, რომელიც უახლოეს მომავალში იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლის სახელწოდებაა ,, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა“ და ის შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრულ სკოლის ტიპსა და სახელთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოქმედი და დეკლარირებული მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სკოლის ,, მისიის,ხედვის, ღირებულებების'' რევიზიაზე მომუშავე ჯგუფების სხდომის ოქმები;
- 2023 წლის 03.04.ბრძანება N1/კ-40 სკოლის ფილოსოფიის გეგმის შემუშავებაზე პასუხიმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ

შეფასება:

*0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლის დირექტორის 2023 წლის 30.03-ის N 1/კ-37 ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიულ განვითარების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია", სადაც გაწერილია თუ როგორ ახდენს სკოლა აღნიშნული პროცესის წარმართვას, ანალიზს და შეფასებას; სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ფაზები:

დაგეგმვის ინიცირების ფაზა;

მომზადება , განხილვის ფაზა;

სრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება;

სტრატეგიული პრიორიტეტის მიღწევის მექანიზმების განსაზღვრა;

მეთოდოლოგიაში გაწერილია რა ნაბიჯებითა და მექანიზმებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება (მაგ. მატერიალური- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ჯანსაღი, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო; საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგ. საკითხები/პროცედურები; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში და ა.შ).2023-2024 სასწავლო წლიდან დაგეგმილია, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებული მეთოდოლოგიის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმა, თუმცა დირექტორის 2023 წლის 30.03-ის N 1/კ-37 ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფი გეგმავდა სტრატეგიული გეგმის შემუშავებას ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის, არსებული მეთოლოგიის საფუძველზე.

**დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 ოქტომბრის N2-154 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. ექსპერტთა გჯუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად. მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა შესაბამისობაში. ინდიკატორი 1.2.1.2.დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მოქმედი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2022 წლის 7 სექტემბერს. სამოქმედო გეგმაში გაწერილია დასახული ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, მათი შესრულების დრო და პასუხისმგებელი პირები. ვიზიტის პერიოდში, სკოლას ჰქონდა შემუშავებული 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი.სექტემბრის თვეში , გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით შემუშავდება სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში მოვა სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან და მის მიზნებთან. სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები.
**დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითრების გეგმიდან.ექსპერტთა გჯუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა შესაბამისობაში. ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. 2022-2023 სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, და პასუხისმგებელი პირები. თუმცა, როგორც წინა ინდიკატორიში აღინიშნა, ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. თუმცა მასში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და კონკრეტული რეალისტური ვადები.**

**აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გაზმოვადი ინდიკატორები და კონკრეტული რეალისტური ვადები.**

**ინდიკატორი 1.2.1.4 გადადის მეტწილ შესაბამისობაში.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითრებისა და სკოლის ფილოსოფიის გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის 2023. 20.06-ის სხდომის ოქმი N3
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწ. წლის დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლას შემუშავებული აქვსსკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს, სტრატეგიული დაგეგმვის რამოდენიმე ფაზას, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზას. მას წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები გაწერილია როგორც შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და სასკოლო-სასწავლო გეგმაში. სკოლის ერთწლიანი საამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება და ანალიზის, სასკოლო გარემოს , ინფრასრუქტურული მდგომარეობის , მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინის , მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, სკოლის მართვაში მშობელთა მონაწილეობის, და კომპლექსური ანალიზის შეფასებისა და ანალიზის მექნიზმებს. სტრატეგიული გეგმის საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება 2023 წლის სექტემბრის თვეში. სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის და სკოლის განვითარები ერთ წლიანი გეგმის დამტკიცება და გაზიარება დაინტერესებული მხარეებისთვის მოხდება ოქტომბრის თვეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორი ვერ შეფასდება;

3. პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორი ვერ შეფასდება;

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის;

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ფაზები ანალიზისა და შეფასებისათვის, რის შემდეგაც მიღებულ მიგნებებს/დასკვნებს სკოლა გაითვალისწინებს მომავალი სასწავლო წლისათვის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული ანალიზის ფორმა , რითაც წლიურ სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტს აფასებს.აღნიშული ასევე დასტურდება, ,,სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით", რომლის შემუშავების პროცესში გამოყენებულ იქნა SWOT ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითრებისა და სკოლის ფილოსოფიის გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის 2023. 20.06-ის სხდომის ოქმი N3

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია დებულებებსა და შრომით ხელშეკრულებებში. ხელშეკრულებებში გაწერილია, როგორც ზოგადი ხასიათის უფლება-მოვალეობები, ასევე კონკრეტული პირის ფუნქციებიც მკაფიოდაა განსაზღვრული. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია შრომის შინაგანაწესი, რომლის გაცნობა ხელმოწერით დასტურდება ხელშეკრულებაშივე. რაც შეეხება სტრუქტურულ დებულებებს სკოლას წარმოდგენილი აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკარის უფლება -მოვალეობები და მკითხველის უფლებები. პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში გაწერილია ჯგუფის წევრთა მოვალეობები და მიზნები. ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომელშიც გაწერილია მუშაობის წესი და ფუნქციები. ასევე კონკრეტული ფუნქციები დირექტორს გადანაწილებული აქვს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და დაკისრებული აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა. მაგ.: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პერსონალური ინფორმაციის დაცვა და ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო ასლების შექმნა დავალებული აქვს საქმისმწარმოებელზე. სკოლას შემუშავებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა პერსონალის მართვის პოლიტიკა. აღნიშნულ

დოკუმენტში ერთადაა თავმოყრილი ყველა მოქმედი სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნციები და უფლება-მოვალებები.**იდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მათი საქმიანობა ურთიერთანამშრომლობას ეფუძნება, რაც საშუალებას აძლევს სკოლის დირექტორს სწორად მოახდინოს ფუნქციათა დელეგირება და გაუწიოს მონიტორინგი დაკისრებული სამუშაოს შესრულებას.სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დებულებასა და ხელშეკრულებაში გაწერილი ფუნქციები არ არის ფორმალური ხასიათისა. თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს საკუთარი ვალდებულებები როგორც სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით, ისე ოპერაციული პროცესების (სკოლის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ფინანსური საქმიანობა, საქმისწარმოება და სხვა) განხორციელების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შრომითი ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ბრძანება N1/კ-38 ;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

1.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა ხორციელდება მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. სკოლაში მოქმედებს ყველა სტრუქტურული ერთეული, რომელსაც კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ" ითვალისწინებს. პერსონალის მართვის ძირითადი ინსტრუქციები მოცემულია შინაგანაწესში;სამუშაო კვირის ხანგრძლივობა და სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო (მუხლი 2); სამუშაო დროის აღიცხვა (მუხლი3);სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი (მუხლი 4); შრომის ანაზღაურებისა გაცემის დრო და წესი (მუხლი 5); შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი (მუხლი 6, 7); შრომის პირობების დაცვის წესები (მუხლი 9); დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი (მუხლი 10), და სხვა. ასევე თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში.სკოლის შინაგანაწესი არ ეწინააღმდეგება პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, სკოლაში მასწავლებლის დასაქმების წესსა და საქართველოს შრომის კოდექსს. ასევე სკოლას აქვს კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების სამუშაო დებულებები, რომელშიც გაწერილია მისი ძირითადი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლა პერსონალის მართვას ახორციელებს საჭიროებაზე მორგებით. ამ ეტაპისთვის დასაქმებული პერსონალი სკოლის საჭიროებიდანაა გამომდინარე, მას ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია სკოლის ექიმის საშტატო ერთეულზე, რომელიც აპლიკანტის არარსებობის გამო ჩაიშალა. თუმცა სკოლის მესვეურებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ სოფელში იყვნენ ექთნის პროფესიული განათლების მქონე ადამიანები. შესაბამისად მოხდა საშტატო განრიგის შეთანხმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და ამ ეტაპზე სკოლას ვაკანსია აქვს გამოცხადებული სკოლის ექთნის პოზიციაზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სკოლაში უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებას.თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, ყველა დასაქმებული ვალდებულია სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების რეგისტრაცია ასახოს ჟურნალში ხელმოწერის მეშვეობით/რეგისტრაციის გავლით. აღნიშნული რეგულაციების საშუალებით, სკოლის დირექციას ექმნება ნათელი წარმოდგენა ყოველდღიურად სამუშაო პროცესში ჩართული პერსონალის შესახებ და თანამშრომლების გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ეძლევა შესაძლებლობა, გადადგას შესაბამის პრევენციული და ინტერვენციული ნაბიჯები.სკოლაში წარმოებს ჩანაცვლებული და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც შედის მონაცემები პედაგოგების, გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობის, გაცდენის მიზეზების შესახებ.სკოლის პერსონალის ინტერვიუირებით დგინდება, რომ თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ გუნდური მუშაობისა და მხარდაჭერის პრინციპები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს სკოლის საჭიროებაზე დაფუძვნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

3. პერსონალის შერჩევა ხდება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპის დაცვით. მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბმისად. ონლაინ სივრცეში ცხადდება ვაკანსია და კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრის აყვანა ხდება. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით ბოლო ორი წლის მანძილზე არ მომხდარა სკოლაში ახალი კადრის აყვანა. თუმცა კარგად იცნობენ კანონმდებლობას და საჭიროების შემთხვევაში ზუსტად დაიცავენ მას. ამას ადასტურებს მათ მიერ გამოცხადებული ვაკანსია სკოლის ექთნის საშტატო ერთეულზე. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია; თითოეულ საქაღალდეში წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი დანაშაულის არ ქონისა  და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;სკოლაში დასაქმებულია 20 პედაგოგი, მათ შორის 8 წამყვანი 12 უფროსი.პედაგოგოს სტატუსის მქონე , რაც დასტურდება ამონაწერით განათლების მართვის საინფორმაციო ბაზიდან.პედაგოგები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ყავს 1 სპეცპედაგოგი, დასაქმებულია 8 თანამშრომელი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე , საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი,ბუღალტერი,1 დარაჯი, 2 დამლაგებელი. სკოლის ყველა თანამშრომლის კომპეტენცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

**რჩევა:**.დასაქმების ობიექტურობისა და შრომის კოდექსის დაცვის მიზნით სასურველია სკოლამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეათანხმოს დარაჯის დამატებითი შტატი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება სკოლაში არსებული კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებით; სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი,დირქტორის ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის  მასწავლებელთა  ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი . სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ერთობლივად  შეიმუშავებენ საგნობრივ პროგრამებსა და კურიკულუმებს, ახორცილებენ ურთიერთდასწრებას გნავითარებისა და მხარდაჭერის მიზნით; აქტიური თანამშრომლობა მიმდინრეობს სხვადასხვა კათედრას შორის. აღსანიშნავია, რომ ეს ჯგუფები საკმაოდ რეპრეზენტაბელურია და მოიცავს სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელს.სასკოლო საზოგადოების წევრები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებსა და სხდომებზე, გადწყვეტილებებს აფიქსირებენ ოქმის სახით. ყველა გადაწყვეტილება მონაწილეობისა და გუნდური მუშაობის შედეგია.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი; დაწესებულების თანამშრომლებს შორის ნამდვილად იგრძნობა პატივისცემა, აქტიური კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთმანეთის მოსმენა და გამოცდილების გაზიარება.მასწავლებლები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ერთმანეთს უზიარებენ განათლების სფეროში დანერგილ სიახლეებს. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია დასაქმებულისა და მოსწავლის წახალისების წესი, რომელიც ითვალისწინებს მადლობის გამოცხადებას; სიგელით დაჯილდოებას; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოებას. აღსანიშნავია, რომ დირექტორის ბრძანებით ხდება წარმატებული პედაგოგის აღიარება, რომელიც ინახება მათ პირად საქმეში. . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება შეფასება;
- სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი ოქმები;

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას დირექტორის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, ასევე ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების ფორმები.

ჯგუფის მიზანია:ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;

ბ) მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა;

გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება.

დ) სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;

ჯგუფს შემუშავებული აქვს დებულება , რომელიც არეგულირებს თუ რა მექანიზმით ახორციელებს სკოლა პერსონალის შეფასებასა და და მათ კარიერულ წინსვლაზე ხელშეწყობას.დებულების მიზანია:

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება.

ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა;

გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;

დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. მასწავლებელთა შეფასებისას ხარისხის ჯგუფი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, რომელსაც არეგულირებს სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ხარისხის უზრუნველყოფის მე-5 და მე-8 პუნქტი. კერძოდ გამოკითხვების საშუალებით და ასევე გაკვეთილებზე დასწრების შედეგად, ხდება მასწავლებლების საჭიროების დადგენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, როგორც სკოლის დონეზე, ასევე მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებზე დასწრებით.სკოლის მიერ შეიმუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესში საჭიროებების დადგენასთან, დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. აღნიშული ციკლის შესაბამისად, მუდმივად მიმდინარეობს სკოლაში პერსონალის საჭიროებების დადგენა, შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვა და განხორციელება.აღსანიშნავია , რომ **სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის დირექციას მიეცა მითითება, რომ სკოლის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით დაემოწმებინა ყველა ზემო აღნიშნული დოკუმენტაცია ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

პედაგოგები პერიოდულად ახორციელებენ თვითშეფასებას, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად გეგმავენ საკუთარ პროფესიულ განვითარებას, რომლის განხორციელების პროცესშიც სკოლა მხარდამჭერი როლის შემსრულებელია. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების რელევანტური განვითარების გზების შეთავაზებას როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შეთავაზებული სერვისებით. ახალისებს სკოლაში მასწავლებელთა თანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებას, ე.წ. ,,კრიტიკული მეგობრის‘‘ ფორმატს, უზრუნველყოს საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლს, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით და ა.შ.სკოლის გუნდთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ასევე ხელს უწყობს კათედრებზე გაღრმავებული თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და პროექტების დაგეგმვა. სკოლა ასევე ზრუნავს სხვა თანამშრომლების განვითარებაზე. გადამზადება გაიარა დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების კორდინატორმა, რაც განხორციელდა შესაბამისი საჭიროების დადგენის საფუძველზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა ეხმარება ახალ თანამშრომლებს ადაპტაციის პროცესში;**

თანამშრომლობაზე ორიენტირებული და კეთილგანწყობილი გუნდი მაქსიმალურად ცდილობს, დაეხმაროს ახალ კადრებს, რათა კომფორტულად იგრძნონ თავი სამუშაო გარემოში. ახალი სასწავლო წლსთვის სკოლაში კონკურსის წესით შეირჩევა გერმანული ენის მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება,რომ სკოლას ყველა პირობა აქვს შექმნილი საჭირო კადრის დასაქმებისთვის. კერძოდ, სკოლა მზადაა დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით, ბრძანებით შექმნას საკონკურსო კომისია და საჯარო სივრცეში pedagogi.ge-ზე გამოაცხადოს

ღია კონკურსი. (შიდა კონკურსის გამოცხადება აზრს მოკლებულია, რადგან აღნიშნული საგნის სხვა სპეციალისტი სკოლაში დასაქმებული არაა) მოქმედი კანონმდებლობისა და ,,სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტში" გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად ხელშეკრულებით აიყვანოს მასწავლებელი და დაეხმაროს მას ადაპტაციის პროცესში. ასეთი დამოკიდებულება უადვილებს მასწავლებელს, ინტეგრირდეს სასკოლო საზოგადოებაში და მოერგოს სასწავლო გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები;**

სკოლის მიერ განხორციელებული პროექტებისა და პროფესიული აქტივობების გაანალიზებით, დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით. თითოეული პედაგოგი სარგებლობს ლეპტოპით. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვრონ აქტივობებისათვის საჭირო რესურსის ჩამონათვალი და სკოლის დირექცია მზაობას აცხადებს, შეიძინოს შესაბამისი მასალა და ინვენტარი. ასევე, მხარი დაუჭიროს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგ-სემინარებზე პედაგოგების დასწრებას.მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ საგნობრივ ექსპერტებთან კომპლექსური დავალებების შემუშავებაზე.პედაგოგების მიერ ჩატარებული სასკოლო აქტივობები, საგანამანათლებლო პროცესის დროს შექმნილი პროდუქტი, სასკოლო სივრცეში გამოფენილი ვიზუალური მასალა, ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სკოლაში მხარდაჭერილია მასწავლებელთა შემოქმედებითობა და საქმიანი ინიციატივები, რაც საერთო ჯამში, ხელს უწყობს მათ პროფესიულ წინსვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კათედრის საქაღალდეები;
- პედაგოგთა პირადი საქმეები;.

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე. სკოლის მენეჯმენტი წარმოდგენილია როგორც უწყვეტი პროცესი. დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი.აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია გუნდურობა, რომელიც კარგად ჩანს ფხვენისის საჯარო სკოლის მართვაში. მთავარი რაც გამოიკვეთა ვიზიტის პროცესში იყო სურვილი და ქმედებები ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესანარჩუნებლად, როგორც მენეჯმენტში, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესში. შემუშავებულია სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; სახელმძღვანელო შექმნილია სწავლა-სწავლებისა და მართვის პროცესების შეფასება, გაუმჯობესება და დაწესებულების მდგრადი განვითარება მიზნით.ამ მიზნის მისაღწევად სკოლაში მუდმივად ხდება სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება, რომელიც ციკლური ხასიათისაა, რაც გულისხმობს პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას მოსწავლეთა კომპეტენციის თვალსაზრისით. სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (სტრუქტურული ერთეულები, მასწავლებლები, მოსწავლეები და სხვ.) და ეფუძნება ყველა მხარის ჩართულობას და გაძლიერებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობას, საჯაროობას, სანდოობას და ვალიდურობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მას აქვს განსაზღვრული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. დირექტორის ბრძანებით შექმნილია სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, რომელსაც გაწერილი აქვს გეგმა-განრიგი. სკოლაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ აღნიშნულ ჯგუფს განრიგის მიხედვით სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმა ინდა შეექმნათ 2023 წლის ოქტომბრის თვეში. თუმცა სამუშაო პროცესიდან გამომდინარე დაზუსტებით ამბობენ, რომ გეგმა სექტემბერში მზად იქნება დასამტკიცებლად. დამხმარე პროცესებიდან სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რომლებსაც შემუშავებული აქვთ დებულება და გეგმა. დირექტორი ინდივიდუალურ -სამართლებრივი აქტით ნიშნავს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებს და განუსაზღვრავს მათ ფუნქციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი ,,სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი'' აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი პროცედურები და პროცესის თანმიმდევრობა. წესში ნათქვამია, რომ მისი მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. დოკუმენტი განსაზღვრავს  განცხადების/საჩივრის განხილვის პრინციპებს, წესსა და ვადებს. დეტალურადაა საუბარი საჩივრის განხილვის წესზე  დისციპლინური წარმოებისას, მასწავლებლის  ვაკანსიის შესაავსებად გამოცხადებული შედეგების გასაჩივრებისას,  შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრებისას. აქვე დასკვნით დებულებაში სკოლა იღებს ვალდებულებას აღნიშნული წესი გააცნოს სასკოლო საზოგადოებას, თუმცა არაა საუბარი რა მეთოდით. ასევე ნათქვამია, რომ წესი დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით, ბრძანებით, მაგრამ მტკიცებულებად არ ახლავს ბრძანება.

აღნიშნული დოკუმენტი იძლევა საშუალებას დაინტერესებული მხარე სრულად იყოს ინფორმირებული განცხადებით/საჩივრით მიმართვის სურვილის შემთხვევაში.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მთავარი დოკუმენტი, რომელიც ამ მიმართულებით სკოლას აქვს შემუშავებული არის შინაგანაწესი. იგი საჯაროდ ხელმისაწვდომადაა განთავსებული სკოლის შენობაში. შინაგანაწესში მკაციოდაა განსაზღვრული როგორც პერსონალის, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები. სკოლას აქვს შემუშავებული ,,პერსონალის მართვის პოლიტიკის'' დოკუმენტი, რომელის მე-5 თავში აღწერილია სკოლის მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და

თავისუფლებები. მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებია დაცული ხელშეკრულებით, რომელიც სკოლასა და მშობელს შორის იდება, ისევე როგორც პერსონალის უფლებებია დაცული შრომნითი ხელშეკრულებებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მექანიზმებიდან კარგად აქვს ადაპტირებული პირისპირ შეხვედრები. ყველა მნიშვნელოვან საკითხზე კლასის ხელმძღვანელთა დახმარებით ხდება სასკოლო საზოგადოების, მშობლების ინფორმირება, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმების ჩანაწერებით. მათივე განმარტებით აქვე ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებიდან. ახდენენ კითხვარების დახმარებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას. ასევე შექმნილი აქვთ ე.წ. დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, რაც მათ აძლევთ საშუალებას სწრაფად გაცვალონ ინფორმაცია მშობლებთან. სკოლას აქვს მოქმედი სოციალური გვერდი, სადაც შუქდება სასკოლო ცხოვრება ზიარდება საჭირო დოკუმენტაცია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ფხვენისის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია. კერძოდ, კოლეგიალურ ოგანოებში, როგორიცაა სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, ჩართულები არიან მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. ამას ადასტურბებს სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმების ჩანაწერები. ასევე ,,პერსონალის მართვის პოლიტიკის" დოკუმენტის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი. თუმცა კომიტეტის მუშაობის წესი ან სხდომის ოქმის ჩანაწერები მტკიცებულების სახით ვერ იქნა მოპოვებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;

- სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ოქმები;.

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის;

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა არის მილენიუმის პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებული სკოლა, შესაბამისად შენობა სრულად აკმაყოფილებს ფიზიკური უსაფრთხოებისთვის საჭირო მოთხოვნებს. ეზო აქვს ღობე და სკოლის დირექციის განმარტებით ხორციელდება ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილების კონტროლი. სკოლის დირექტორის ბრძანებით დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ბრძანება N2-03 03.02.2020. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული, შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ კომპეტენტური ორგანოს დასკვნა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, ის ჯერ

სკოლას არ აქვს, თუმცა ამ მიმართულებებით მუშაობა დაწყებული აქვს.ასევე აქვს მიწერილობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის გამოთხოვის მიზნით.
რაც შეეხება სამედიცინო პერსონლას, 2023 წლის 20.07.-ის თარიღით, შეტანილ იქნა ცვლილება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულ საშტატო განრიგში, სკოლას დამტკიცებული ექიმის შტატის ნაცვლად დაუმტკიცდა ექთნის შტატი. თუმცა ვიზიტის განმავლობაში სკოლას აღნიშნულ საშტატო ერთეულზე არ ჰყავდა დასაქმებული შესაბამისი კადრი. ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იგეგმებოდა კონკურსის გამოცხადება.

**დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნას მოიპოვენს 2024 წლის 15 ივნისისთვის, 11 თვის პერიოდში.**

**შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლას განსაზღვრული ჰქონდა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შესაბამისობაშ მოიყვანდა 2023 წლის 1 ნოემბრისთვის. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით საქმის წარმოება დასრულებულია და გეგმა შეთანხმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2023 წლის 17 ოქტომბერს.**

**დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა დასკვნას სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მოიპოვებს 2024 წლის 15 ივლისამდე. 11 თვის ვადაში.**

**დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა 2023 წლის 29 სექტემბერს ხელშეკრულება გაუფორმა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანს. რაც დასტურდება დკვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტაციით.**
**ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**
2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექცია და მასწავლებლები. შემუშავებული აქვთ საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომელიც აწესრიგებს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას და განრიგის მიხედვით საგაკვეთილო პროცესის წარმართვას. ასევე დირექციის დახმარებით კონტროლდება გარეშე პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილების შეზღუდვა. დირექტორის მოადგილის მიერ ხორციელდება მასწავლებელთა გაკვეთილებზე დროული გამოცხადების მონიტორინგი და გამოუცხადებლობის შემთხვევაში ცხრილის მოდიფიცირება. შინაგანაწესის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია მშობელთა სკოლაში ვიზიტის და მასწავლებლებთან

შეხვედრის დრო. თუმცა მასწავლებელთა და დირექციის წარმომადგენელთა განმარტებით მოსწავლის მშობელას შეუძლია დირექტორთან შეთანხმებით არაგანსაზღვრულ დროსაც განახორციელოს სკოლაში ვიზიტი. რათქმაუნდა ეს განსაზღვრულობა არ ეხება სსსმ მოსწავლის მშობელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა ძირითადად დამრიგებელთა ფუნქციებში აქვს გაწერილი ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ასევე გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ფსიქო-ემოციური უსაფრთხოებაც და ეს დასტურდება ისგ-ს ჯგუფის ოქმებითა და თვითონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში გაწერილი პროცესებით. მოსწავლეთა ინტერესების დაცას და მათ ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებას ემსახურება ის პროექტებიც, რომელთაც კლასის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები ახორციელებენ სკოლაში. ადგილზე ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოებისთვის (მათ შორის უპირველესად მოსწავლეთათვის განკუთვნილი) სურვილების, რეკომენდაციების ანონიმური ყუთი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. დირექციის განმარტებით, სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგით, არ ჰყავს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესაბამისად სამეურნეო საქმიანობა ,,პერსონალის მართვის პოლიტიკის" დოკუმენტის მიხედვით შეთავსებული აქვს ბუღალტერს.. ამიტომ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად საჭირო რესურსების შეძენას და მათ ეფექტურ გამოყენება - ხარჯვაზე კონტროლს ახორციელებს დირექცია (მათ შორის ბუღალტერი). შესყიდვები ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით. დირექტორი შესყიდულ საქონელს გადასცემს სკოლის დამლაგებლებს აქტის გაფორმების საფუძველზე, რომლებიც განკარგავენ და გამოიყენებენ საქონელს დანიშნულებისამებრ რაზედაც აკეტებენ ჩანაწერებს. აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით შემდეგ დგინდება საჭიროება. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მთელს ტერიტორიაზე, როგორც შემობაში, ასევე ეზოში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. ამისთვის სკოლის დირექტორს განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი. ბრძანება N1/კ-38 03.04.2023 რომლის ფუნქციებში შედის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პერსონალური ინფორმაციის დაცვა, ინფორმაციის და ფაილების სარეზერვო ასლების შექმნა. სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან და მათზე წვდომა აქვს დირექტორს, საქმისმწარმოებელს, რომელიც დაცვაზე პასუხისმგებელი პირია. მოსწავლეთა პირად საქმეებზე წვდომა აქვთ დამრიგებლებს მასში საჭირო ინფორმაციის შეტანის მიზნით. სკოლის ელექტრონულ ბაზაზე წვდომა აქვს დირექტორს,საქმისმწარმოებელს. ხოლო სხვა პერსონალს მათი კომპეტენციის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6.როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა დირექტორის ბრძანებით N1/კ-38 0.04.2023 გამოყოფილია ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა დოკუმენტალურად გაწერილი თუ რა მექანიზმების, ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორ ახორციელებს ინფორმაციის დაცვას არ აქვს. ასევე

სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/კ-39 03.04.2023 სკოლას გამოყოფილი ჰყავს სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7.როგორც სკოლაში ვიზიტისას გაირკვა იგი ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც გამოიხატება ძირითადად სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონების ანგარიშებში, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირებში. სკოლა ამ შეფასების შედეგებს ითვალისწინებს და იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მიწერილობა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შეფასებასთან დაკავშირებით;
- შინაგანაწესი;
- მიწერილობა უფლებამოსილ ორგანოსთან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 20.07.-ის ბრძანება

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლას აქვს შესაბამისი რაოდენობის მერხები და სკამები და საკლასო ოთახები აღჭურვილია დაფებით. სკოლა განთავსებულია 13029 კვ.მ მიწის ფართზე,შენობა ორსართულიანია, სკოლის შენობის საეთო ფართი შეადგენს 1095,5კვ.მ. დამხმარე ორი შენობა. სკოლის შენობა რეაბილტირებულია, ინფრასტრუქტურა გამართულია. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი ყველა საჭირო ინვენტარით (ჩოგბურთის 2 მაგიდა, მხიარული სტარტებისთვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარი, კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის, რაგბის ბურთები, ჭადრაკი). სკოლის ეზოში ფუნქციონირებს ხელოვნურსაფარიანი მოედანი. საკლასო ოთახები ბუნებრივი და ელექტრო-განათებით, ბიბლიოთეკა (გრიფირებული სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პრინტერი, პროექტორი, ეკრანი, მაგნიტური დაფა) სველი წერტილები (ერთი ადაპტირებული), პანდუსი, უნიკალური რეკრეაციული გარემო. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილი აინშტაინის და მილენიუმის ლაბორატორიით; კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც არის 14 კომპიუტერი, 1 ჭკვიანი დაფა, 10 ლეფტოპი,ეკრანი. სკოლა ფლობს გეოგრაფიულ და ისტორიულ რუკებს, პლაკატებს, გლობუსებს, აუდიო-ვიდეო რესურსებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, "ჯიპრაიდის" მიერ გადაცემულ რესურსებს, პლაკატებს, ცხრილებს. სკოლას აქვს რესურსი სსსმ მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლის შენობა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლას აქვს სასკოლო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტით, რომელიც ხელმისაწვდომია საკოლო საზოგადოებისათვის, გაწერილია საზიარო სამუშაო სივრცეებით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა**

3. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო. სკოლას აქვს პანდუსები, ადაპტირებული საპირფარეშო, რესურს ოთახი შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შემოქმედებითი აქტივობების განხოციელების გამოცდილების დაგროვების საშუალებას, როდესაც მოსწავლეები ხვდებიან და ესაუბრებიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელ ადამიანებს საკუთარ ინტერესებზე, პრობლემებზე, მიღწევებზე. სკოლაში მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან.

სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა შესაძლოა გაზიარებული იქნას ადგილობრივი საზოგადოებისთვის.

სასკოლო ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებაში; უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. მათ შორის: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); პედაგოგებს გადაცემული აქვთ ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში პორტაბელური კომპიუტერი HP255G7 notebook, რომელსაც აქტიურად იყენებენ სკოლაში საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას. ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებულია მულაჟები,საგანმანათლებლო პლაკატები, შესაბამისი ხელსაწყოები,რეაქტივები (რომელიც დაცულია შესაბამის რკინის სეიფში).სკოლას ასევე აქვს მომარაგებული სპორტული ინვენტარი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: სკოლაში ვიზიტის დროს გამოვლინდა , რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ინახება ვადაგასული რეაქტივები. სკოლას მიეცა რჩევა, დროულად მოახდინოს მათი უტილიზაცია დადგენილი წესების მიხედვით**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი;
- შენობა ნაგებობის სქემა;

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 7 პერსონალური კომპიუტერით, პროექტორებით, ჭკვიანი დაფით. კომპიუტრული ლაბორატორიის გარდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს საკლასო ოთახებში გამართული აქვთ კომპიურერები და პროექტორები, რომელსაც საჭიროებისამებრ იყენებენ. გარდა ამისა, სამასწავლებლოში არის 4 კომპიუტერი, 2 ლეპტოპი და ორი პროექტორი, რითაც სარგებლობენ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები, და მოსწავლეები. მოსწავლეებს საშუალება აქვთ სასწავლო პროცესის შემდეგ გამოიყენონ სკოლაში არსებული ციფრული ტექნოლოგიები. I-IV კლასებს "ჩემი პირველი კომპიუტერი"-ს ფარგლებში აქვთ სასწავლო ბუკები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში.

2. სკოლაში არის სქულბოქსი, Wi-Fi. ყველა კლასი უზრუნველყოფილია Wi-Fi. სკოლაში არ არსებოსბს არანაირი ხელისშემშლელი პირობები იმისა, რომ შეფერხდეს საუშაო პროცესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის დებულება;

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი,სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება (e-flow) სისტემის მეშვეობით. სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან

დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი ძალადობისა და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი. მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან).სკოლის ბულატრული დოკუმენტაცია, წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მართვაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვისთვის ელექტრონული სისტემები Eflow. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა- eschool, ელ.ფოსტა და მატერიალური საცავი.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge. რომლის საშუალებითაც სკოლის მთელ პერსონალზე და მოსწავლეებზე გახსნილია ველი და რომელშიც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და მათთან თანამშრომლობს.

სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს.სკოლა ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგინოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, შესყიდვების წლიური გეგმას,წლიურ გეგმაში განხორციელებული ცვლილებებისთანავე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების შეცვლილი გეგმა იტვირთება spa.ge-ზე.სკოლა ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში, ნებართვას იღებს განათლების სამინისტროსგან და სახელმწიფო ქონებისს სააგენტოსგან. სასწავლო წლის ბოლოს ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასწავლო სივრცეში ინტერნეტით უზრუნველყოფის მტკიცებულები;
- საქმის წარმოების წესი;
- ელექტრონული გეგმის მოდელი (ePlAN);
- ამონაწერი escool.emis.ge-დან...

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს ელ. ჟურნალს, ელ. პლატფორმა – TEAMS და სოციალურ გვერდს. სკოლა კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელებითვის იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს, კერძოდ,სკოლას აქვს საკუთარი ფეისბუქ გვერდი, დახურული ჯგუფი. დახურულ ჯგუფს მასწავლებლები იყენებენ სასწრაფო სამსახურეობრივი ინფორმაციის გასავრცელებლად. ხოლო ფეისბუქ გვერდზე

მოსწავლეების, მშობლების და თემში არსებული სხვა დაინტერესებული პირისთვის განთავსდება როგორც საინფორმაციო, ასევე სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და პროექტები.სკოლა უახლოს მომავალში შექმნის ვებ გვერდს.

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის მიხედვით შექმნა ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი. დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბრძანება N2-132 განსაზღვრა პასუხისმგებელი პირი ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებაზე. გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის სრულყოფა მოხდება 2023 წლის 30 დეკემბრისთვის. 4თვის ვადაში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

2. დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც უზრუნველყოფ სკოლის საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს ელ. ჟურნალს, ელ. პლატფორმა - TEAMS და სოციალური გვერდს. დირექციის განმარტებით, სასკოლო ელ. გამოკითხვები ამ სივრცეში მიმდინარეობს. მიმდინარე წელს გამოიკითხა მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს და ამავე გზით გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ქმნის ვებ-გვერდს. ვებ-გვერდის ინფორმაცია განთავსებული იქნება ქართულ ენაზე

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის მიხედვით შექმნა ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი. დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბრძანება N2-132 განსაზღვრა პასუხისმგებელი პირი ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებაზე. გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის სრულყოფა მოხდება 2023 წლის 30 დეკემბრისთვის. 4თვის ვადაში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

5. სკოლას დაწყებული აქვს ვებ-გვერდის შექმნა. ვებ-გვერდზე განთავსებული იქნება შემდეგ ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის მიხედვით შექმნა ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი. დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბრძანება N2-132 განსაზღვრა პასუხისმგებელი პირი ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებაზე. გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის სრულყოფა მოხდება 2023 წლის 30 დეკემბრისთვის. 4თვის ვადაში.**

**ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

**რჩევა:** დაწესებულებას მიეცა რჩევა, დროულად უზრუნველყოს ვებ-გვერდის შექმნა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

.
- სკოლის სოციალური გვერდი
- მასწავლებეთა პროფილები TEAMS-ის პლატფორმაზე.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლა ხელმძღვანელობს სამოურვეო საბჭოს 2022 წლის 10 დეკემბერს (ოქმი N7) დამტკიცებული ბიუჯეტით, შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლეების დაფინანსება. დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი, საკუთარი შემოსავლები-იჯარით გაცემული ფართიდან და ფასიანი მომსახურების წრეებიდან. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის, შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს შემუშავებული და სამურვეო საბჭოსთან შეთანხმებული 2022 - 2023 წლის ბიუჯეტი, რომლის კორექტირება განხორციელდა სამჯერ,შესაბამისად სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ასევე შემუშავებული აქვს 2023-2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით,გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. შესყიდვების გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრებიდან მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. ასევე დირექტორი სკოლას განსაზღვრული ყავს ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირი.საჭიროების შემთხვევაში ინდ.აქტით შეტანილია ცვლილებები შესყვიდვების გეგმაში. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, სკოლას გათვალისწინებული აქვს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები. ასევე ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის'' მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე 52 შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს ბაზრის კვლევას. 2023 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე, ბაზრის კვლევა განხორციელებულია შემდეგი მეთოდებით: ა) ინტერნეტ სივრცეში პოტენციური მიმწოდებლის მოძიება; ბ) სხვა ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინება (შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდის დათვალიერება/ანალიზი); გ) წინა წლების შესყიდვების გამოცდილების ანალიზი (ხელშეკრულებების შესწავლა); დ) სატელეფონო კვლევა.სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 14 ნოემბრის N2-47 ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023 წლის 28. 04.-ის სამეურვეი საბჭოს სხდომის ოქმი N12 ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- 2022 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7;
- 2022 წლის 14 ნოემბრის N2-47 ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმებით.სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ერთიანი წესი.

სკოლა მოსწავლის მე-9 და მე-12 კლასის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაცემებს ასახავს eshool-ის ბაზაში ,,საფეხური დაძლია" და მონაცემებს უგზავნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ხოლო იმ მოსწავლეებს,რომლებმაც ვერ დაძლიეს საფეხური გაცდენების გამო, აძლევს ექსტერნის გამოცდის საფუძველზე საფეხურის დაძლევის საშუალებას. ექსტერნის გამოცდები ინიშნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციებს შორის უპირველესია სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის უფლებები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე მოსწავლის უფლებების დაცვას განაპირობებს ხელშეკრულება, რომელიც იდება სკოლასა და მშობელს შორის. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც ასევე გაწერილია მოსწავლის უფლებები და მოვალეობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად საუბარია მოსწავლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე. კერძოდ, ზოგადი განათლების მიღების უფლება, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება, სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება, გასაჩივრების უფლება, ნეიტრალურობისა და არადისკრიმინაციულობის უფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება,გაერთიანების თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რწმენის თავისუფლება და სხვა უფლებები. აღნიშნული დოკუმენტები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. 1-ლი მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების საგანია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. მკაფიოდაა გაწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მე-4 მუხლი ეხება მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პირობებს. ხოლო მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში საუბარია იმაზე, რომ ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი და აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი;
- ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის მოსწავლის ვერსია;
- მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლას აქვს შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია საჯარო სკოლის დირექტორი მიერ. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლის ცნება, მოსწავლის სტატუსის მოპოვება – პირველ კლასში ჩარიცხვა, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მოპოვება, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობის უფლება, მობილობა, მობილობის დროს წარმოსადგენი დოკუმენტაცია, მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა, მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა, კლასისა და საფეხურის დაძლევა. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები, რომელიც ეხება აღნიშნულ საკითხებს სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის ბრძანებასთან და სკოლის მიერ მიღებულ დოკუმენტთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებელია**

2.სკოლის მიერ გადმოგზავნილ მტკიცებულებებსა და ადგილზე ვიზიტის დროსაც ნანახ დოკუმენტაციაში, კერძოდ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში, რომელიც ეხება მოსწავლის ს ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და ინდიკატორში მითითებული მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს ტრანსპორტით მომსახურება, რომლის პირობებისა და სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ისევე, როგორც სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის მარეგულირებელი ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების. ესაა პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ასევე იგი ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ასაჯაროვებს სოციალური ქსელის სკოლის ოფიციალური გვერდის საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ამის მტკიცებულებაა სკოლის სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც სრულ თანხვედრაშია ვიზიტის დროს შესწავლილ დოკუმენტაციასა და აქტივობების ამსახველ მასალებთან. აღნიშნული ინფორმაციის სანდოობაზე პასუხისმგებელია დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი;
- სკოლის განათლების მართვის ელექტრონული სისტემა Eschool;
- დირექტორის ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევისა და მობილობის შესახებ;
- დირექტორის ბრძანება ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას დოკუმენტად გაწერილი მოსწავლის ადაპტაციის წესი არ აქვს. თუმცა აქვს კარგი გამოცდილება და ტრადიცია, რომლის შესახებაც ინფორმაცია მივიღეთ სკოლაში ვიზიტის დროს. კერძოდ მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ ხდება მისი და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გასაუბრება სკოლის დირექტორთან, რომელიც თავის მხრივ პროცესში რთავს კლასის ხელმძღვანელს. კლასის ხელმძღვანელი წარუდგენს მოსწავლეს კლასს. სკოლა გეგმას არსებული გამოცდილება აქციოს სასკოლო დოკუმენტად.ღვანელი მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი რგოლია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.როგორც სკოლაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან გაირკავა მოსწავლეთა მხარდაჭერა ძირითადად ხდება კლასის ხელმძღვანელების მხრიდან. მაგალითად პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ მომავალი დამრიგებელი ეცნობა მოსწავლეებს, იწვევს მათ და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლაში სასკოლო გარემოს დასათვალიერებლად, რათა მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ ადაპტაცია. სწავლის დაწყების პირველ დღეს ხდება მოსწავლეთა საზეიმო დახვედრა. კლასის ხელმძღვანელთა სადამრიგებლო პროგრამე ადასტურებს მოსწავლეთა მხადაჭერაზე ზრუნვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.გასაუმჯობესებელი აკადემიური მიღწევების გამოკვეთას სკოლა ახდენს შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე. რის შემდეგაც ხდება საჭიროებების დადგენა და ინტერვენცია. როგორც ინტერვიუს დროს დადგინდა საჭიროების შემთხვევაში ხდება რემედიაციული დახმარება. კომპლექსური ტიპის დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებზე და ეხმარება მათ პროგრესის მიღწევაში. მასწავლებელთა განმარტებით მოსწავლეს წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით ეხმარება განმავითარებელი შეფასება, რომელსაც ახორციელებენ, როგორც წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკის მიხედვით წერილობითი ფორმით, ასევე ზეპირი კომენტარის სახით. ამის მტკიცებულებაა საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის მხრიდან მოსწავლესთან მიმართებაში ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება გონივრულ ვადებში. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება კლასების დაკომპლექტება და დამრიგებლების დანიშვნა. მნიშვნელოვანია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის ასახვა, რასაც სკოლა შეუფერხებლად ახორციელებს. ხდება ისგ ჯგუფების შექმნა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობის დაწყება. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მზაობა დაუნიშნოს მოსწავლეს სემესტრული გამოცდა. ასევე გამართულად წარმართოს ექსტერნის გამოცდა. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების დაცვით ხდება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, რაც აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიმართულებით სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ტრანსპორტით მომსახურებას. რაც მნიშვნელოვანია მათი უსაფრთხოებისათვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა ხორციელდება. არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში ხორციელდება სასკოლო, ადგილობრივი თუ სახელმწიფო მასშტაბის პროექტები. სასკოლო პროექტების შერჩევა ხდება მოსწავლეთა გამოკითხვის საშუალებით. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ინიციატივის შესახებ წერილობით მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას ან თავიანთი ინიციატივები დააფიქსირონ ანონიმური ყუთის გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6.მოსწავლეთა მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად სკოლა ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების წევრების უკუკავშირის ანალიზს. უკუკავშირი შეიძლება მიღებული იქნას წერილობითი ან ზეპირი ფორმით. წერილობითი ფორმით შეიძლება გამოიხატებოდეს მასწავლებელთა ანგარიშებში ან კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმეში. ზეპირი სახით კი მშობელტა კრებებზე გამოთქმულ მოსაზრებებში, დამრიგებლის მიერ კლასის საათის ჩატარების დროს, სოციალურ ქსელში დაფიქსირებული პოზიციით ან პირისპირ შეხვედრების დროს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ტრანსპორტირების ყოველთვიური ტაბელი;
- სადამრიგებლო პროგრამები და დამრიგებლის პორტფოლიოები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები;
- მშობელთა უკუკავშირი.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. უმაღლესი სასწავლებლები პროგრამების გაცნობის მიზნით ახორციელებენ ვიზიტს სკოლაში, ასევე სკოლაც თავისი ინიციატივით ახორციელებს მოსწავლეთა გასვლით ვიზიტებს უმაღლეს სასწავლებლებში. აღნიშნული ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს ფოტომასალა. .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**რჩევა – უმჯობესი იქნება სკოლა არ შემოიფარგლოს მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლებით და პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით ითანამშრომლოს პროფესიულ ჯოლეჯებთან. ასევე კარგი იქნება თუ თანამშრომლობის პროცესში გაფორმდება მემორანდუმი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს/პროფესიულ კოლეჯს შორის.**

2.სკოლა ცდილობს მუდმივად მიაწოდოს მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებული და სანდო ინფორმაცის ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მე-9 კლასის დამრიგებელი მშობლებთან შეხვედრისას აცნობს მათ პროფესიული განათლების მიღების საშუალებებს. ასევე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე მოსული ინფორმაცია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან თუ პროფესიული კოლეჯიან შემოთავაზებებისა და სერვისების შესახებ დაუყონებლივ ეგზავნებათ

მოსწავლეებს მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. აღნიშნული ქმედება უიოლებს მათ არჩევანის გაკეთებას, გადაწყვეტილების მიღებას.

**.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.როგორც სკოლაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა უკუკავშირის მიღება გაწეული მომსახურების შესაფასებლად ხდება ძირითადად ზეპირი სახით. თუმცა გეგმავენ ეს უკუკავშირი გახადონ წერილობითი, რისთვისაც შეიმუშავებენ ანკეტირების ფორმატს ან შესაჯამებლად კრიტერიუმები. უკუკავშირის მიღება საჭიროა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად..**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- გაფორმებული მემორანდუმები და სხვადასხვა დაწესებულებაში ვიზიტების ამსახველი მასალა;
- მშობელთა უკუკავშირი.

### 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. ამჟამად სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი. სკოლას აქვს შექმნილი ისგ-ს შემუშავების ჯგუფები, ინკლუზიური განთლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, ისგ თითოეული მოსწავლისთვის. შემუშავებულია აგრეთვე რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი. ასევე, განსაზღვრულია სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მიერ რესურს ოთახით სარგებლობის განრიგის შემუშავებაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დახმარების გაწევაზე, რესურს ოთახის და იქ არსებული დამხმარე საშუალებების დეზინფექციაზე პასუხისმგებელი პირები.რესურს ოთახი მდებარეობს სკოლის პირველ სართულზე,რომელსაც არ აქვს ადაპტირებული კარი და ხელმისაწვდომი არ არის

ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის. რესურს ოთახი აღჭურვილია რესურსებით. რესურს ოთახში არსებული მრავალფეროვანი რესურსები გარდა სპეც. მასწავლებლებისა, საგნის მასწავლებლებსაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებაში. სპეც პედაგოგს საკუთარი ხელით აქვს შექმნილი არაერთი განმავითარებელი რესურსი სსსმ მოსწავლეებისათვის.

სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, პერიოდულად ხორციელდება ისგ გეგმების მონიტორინგი და მათი განხილვა მშობლებთან ერთად. სკოლის ფიზიკური გარემო ხელმისწავდომია ნებისმიერი მოსწავლისათვის, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს პანდუსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა შეცვალოს რესურს ოთახის მდებარეობა; დააოქმოს სსსმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელტან შესხვედრის ოქმები;**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრონციპებს. სკოლის თანამშრომლები ერთობლივი ძალისხმევით ცდილობენ დასახული მიზნის მიღწევას. სპეც. მასწავლებლებლებს შემუშავებული აქვთ ინტერვენციის გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საგნის მასწავლებლის ისგ – თან და შესაბამისად ხორციელდება მოსწავლესთან მუშაობა. სკოლა მუდმივად ზრუნავს სსსმ მოსწავლე იყოს მთლიანი კლასის განუყოფელი ნაწილი და ჩაერთოს ყველა სახის სასკოლო პროექტში. სკოლაში მუდმივად ხორციელდება პროექტები სასკოლო საზოგადოების ინკლუზიური ცნობიერების ამაღლების კუთხით. მოსწავლეების მიერ დამზადებულია პოსტერები, ნახატები. სკოლას გააზრებული აქვს სსსმ მოსწავლეების ტრანზაციის გეგმის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

. დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსსმ მოსწავლეების ინდ.გეგმები სხვადსახვა საფეხურსა და კლასებში;
- სადამრიგებლო პროგრამები და დამრიგებლის პორტფოლიოები;

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ შეთავაზებულია მოსწავლეთათვის დამატებითი არასავალდებულო ხასიათის შემდეგი სახის მომსახურება: ტრანსპორტირების სერვისი და ქართული ცეკვის წრე. ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამით.ცეკვის წრე ფუნქციონირებს მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**რჩევა**: დაწესებულებას მიეცა რჩევა, გაიწეროს ცეკვის წრის სასწავლო გეგმა და სწავლების მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; წარმოდგენილი მომსახურება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, რაც თავის მხრივ პედაგოგიური საბჭოს მიერ არის განხილული და შეთანხმებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით. რაც შეეხება სატრანსპორტო მომსახურებას, სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას; ტრანსპორტით მომსახურება რეგულირდება ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან ყოველთვიური ანგარიშით (თანდართული ყოველთვიური ტაბელი)..**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- . ტრანსპორტირების ყოველთვიური ტაბელი;
- კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ცეკვის წრის ხელშერკულება;
- 2023 წლის სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**-ზოგადი განათლების **დაწყებითი** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'',დოკუმენტი დამტკიცებულია 2023 წლის 25 ივლისის სკოლის დირექტორის N2-98 ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. დაწყებითი, საფეხურის კურიკულუმების შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, დირექციის მუშაობა. ამასთან მეთოდოლოოგიის მიხედვით, კურუკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწალო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. სკოლის კურიკულუმის

შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება და ამაზე მეტყველებს როგორც შესწავლილი დოკუმენტაცია, ასევე თითოეულ კათედრასთან განხორციელებული გასაუბრებები.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2.დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. უცხოური ენების არჩევისას მეხუთე კლასში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული იქნა ორი მეორე უცხოური ენა: რუსული და გერმანული. მშობლებმა არჩევანი გააკეთეს მოსწავლის ინტერესების შესაბამისად. კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმების რევიზიის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება მოწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უშლიდა ან უწყობდა ხელს მათ ჩართულობას; მოსწავლეთა შედეგები, რამდენად გაუმჯობესდება წინა წელთან შედარებით. მშობელთა ჩართულობა, რამდენად შეძლეს მათ მისიის, ხედვისა და სასკოლო კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ პრიორიტეტებთან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმებში ასახულია მოსწავლეთა ინტერესები.

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თითოეული მასწავლებელი აღწერს და კოლეგებს უზიარებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, მონაწილეობას იღებს სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში ითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია იზიარებს.მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები შემუშავებულია კათედრის ყველა წევრის ჩართულობით მეთოდოლოგიის შესაბამისად.

**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

4.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას: სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, ორმხრივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2023 წლის 25 ივლისის სკოლის დირექტორის N2-98 ბრძანება. 2023-2024სასწ. წლისსასწავლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სსიპ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოდგენილია ყველა საგანში ყველა კლასისათვის. ყველა კლასის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კათედრებს სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი, კათედრები მზად არიან კურიკულუმები დახვეწონ ურთიერთთანამშრომლობისა და გაზიარების აგრეთვე დანერგვის ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2023-2024 სასწავლო წლიდან. სკოლას მიეცა რეკომედაცია, რომ ახალი 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრებმა კიდევ ერთხელ ერთობლივად გადახედონ კურიკულუმებს და სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ ცვლილება.

**ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე** წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. კურიკულუმების შესაქმნელად, როგორც ცნობილია, ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ სკოლებს, აქედან გამომდინარეობს ხარვეზები, რომლებიც შეინიშნება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, კერძოდ, ცნებები უნდა გაიწეროს ყველა თემატურ ერთეულში, ზოგან არასწორადაა გრაფებში გაწერილი შესაბამისი ინფორმაცია-საკითხში პირობა წერია და პირიქით და ა.შ. შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული ჰქონდათ ხარვეზები და სექტემბრამდე გეგმავენ მათ გამოსწორებას. მეთოდოლოგიაში სკოლა წერს: ,,კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (ასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა)“.ს

**ბუნებისმეტყველება** მე-5-6 კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში ჯერ-ჯერობით არ არის ჩაშენებული კომპლექსური დავალებები. კათედრას მიეცა რჩევა სწავლის დაწყებამდე კიდევ ერთხელ გადახედონ აღნიშნულ კლასებში კურიკულუმებს და ერთობლივად შეარჩიონ დავალებები. კათედრებმა კიდევ ერთხელ ერთობლივად გადახედონ კურიკულუმებს და სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ ცვლილება.

**მუსიკის** კურიკულუმებში დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებელი სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა დაგეგმილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ , შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.)

**სპორტი-1-6** კლასის დაწყებითი კლასის კურიკულუმშებში გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები. დაწყებითი საფეხურზე მოწყობილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები,ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია

მშობლები.ყოველივე ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

**ხელოვნებაში-**იქიდან გამომდინარე რომ (როგორც ინტერვიუზე აღნიშნეს) კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობა დაჩქარებულ რეჟიმში მოხდა დაწყებით საფეხურზე პირველ,მე 2, მე 3, და მე 5 კლასში არ არის გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკები სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი,ასევე ამავე კლასებში რამდენიმე თემებში სამიზნე ცნებებთან არ არის წარმოდგენილი ქვეცნებები, თუმცა მე 6 კლასში წარმოდგენილია სამივე თემატური ბლოკის ფარგლებში დაგეგმილი თემები,საკითხები,კონტექსტ მაგალითი,რესურსი და კომპლექსური დავალებები. რაც საერთო ჯამში გვაფიქრებინებს,რომ კათედრას აქვს მზაობა დანარჩენ კლასებშიც სწორად დაგეგმოს სასწავლო გეგმა.თავადაც აღნიშნავენ წარმოდგენილ დოკუმენტში,რომ სექტემბრამდე კათედრა დახვეწავს და სრულად გაწერს სასწავლო გეგმას.ინტერვიურების პროცეში დაზუსტდა კურიკულუმებში არსებული ხარვეზები და დაიგეგმა სრულფასოვანი სასწავლო გეგმების შევსება მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ, საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სწავლის პროცესი განხილულია, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. კურიკულუმებში ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. შედეგები განსაზღვრულია საფეხურის მიხედვით, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებში. კურიკულუმში თანმიმდევრულადაა აღწერილი ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები ცალკეული თემებისთვის.. კურიკულუმი ითვალიწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და წინარე ცოდნას.

კურიკულუმები აჩვენებს, რომ სკოლა უპირატესობას ანიჭებს კომპლექსური ბუნების დავალებებს. მოცემულ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები ისეა შედგენილი, რომ მისი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძლათა განვითარების ხელშეწყობა. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესი განხილულ იქნეს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლე თავად აწარმოებს ცოდნის კონსტრუირებას.

სკოლას საგანში ,,მე და საზოგადოება" განსაზღვრული აქვს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომელთა შესრულება მოსწავლისგან ითხოვს მრავალფეროვანი, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას და მიმართულია მის მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე. საგანში ,,ჩემი საქართველო" ასევე სწავლა წარიმართება კომლექსური სახის დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები შექმნიან ელექტრონულ ბუკლეტებს ტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე, საგაზეთო სტატიას რესურსების რაციონალური გამოყენების აუცილებლობასთან და ა.შ

მოცემული დავალებები მიემართება საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე განსაზღვრულ გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით.

**სკოლას მიეცა რჩევა** მე და საზოგადოების მე-4 კლასის, ასევე ჩვენი საქართველო 5-6 კლასის კურიკულუმების ჩარჩოების სავალდებულო ნაწილი შეივსოს სრულად.

**უცხოური ენების** საგნობრივი ჯგუფისთვის სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიექტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში.

**ტექნოლოგიები -** კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების გაკვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვს სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. მასწავლებელს გააზრებული აქვს საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყენებს სარეკომენდაციო რესურსებს. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. კურიკულუმის მიხედვით. სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას.სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

**2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

**ბუნებისმეტყველება** დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე. დაწყებითი საფეხურის კათედრასთან ინტერვიუს პროცესში გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, ორივე სემესტრში მუშავდება პროექტები, მსჯელობას ამყარებს USAID ბიზნეს ფორუმის ფარგლებში დაფინანსებული პროექტით სკოლის ეზოში მოწყობილი გარე სცენა, რომელიც ჯერ-ჯერობით დანერგვისა და შემუშავების ეტაპზეა. პროექტის ფარგლებში გაწერილია ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განუვითარდეს გლობალური ფუნქციური უნარები. პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლის მიერ, დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კურიკულუმების ჩარჩოები, კომპლექსური დავალების იდეები და თავად კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ სათანადოდაა გააზრებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. მაგ: საგანში ,,მე და საზოგადოება'' წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები ცხოველებისა და მცენარეების დაცვის აუცილებზლობაზე. საგანში ,,ჩვენი საქართველო" მოცემულია კომპლექსური დავალება, რომლის მიზანია მოსწავლე საკუთარი შექმნილი ელექტრონული ბუკლეტის მეშვეობით დაეხმაროს თანატოლებს ტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე. ასევე მოცემულია კომპლექსური დავალება ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. კომპლექსური დავალება შედგენილია ისე, რომ მოსწავლეს ეხმარება აღმოაჩინოს კავშირი ადგილობრივ მოსახლეობაზე ბუნებრივი რესურსების მოპოვების გავლენაზე და ა.შ მოსწავლეებმა უნდა შექმნან სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროდუქცია, როგორებიცაა: ბუკლეტები, სტატიები და ა.შ. შექმნაზე. კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე და პოზიტიური ქცევის განმტკიცებაზე. კურიკულუმებში საკითხები ისეა განსაზღვრული, რომ მან დააკმაყოფილოს საგნის სამიზნე ცნება და ქვეცნება. მაგ: საგანში: ,,ჩვენი საქართველო" მოცემულია საკითხი ,,მაჭახელას ხეობა", რომელიც აკმაყოფილებს სამიზნე ცნებას: სივრცე და ქვეცნებას ტურიზმი, ეკოტურიზმი. ასევე მოცემულია საკითხი: ჭიათურის მანგანუმი, რომელიც აკმაყოფილებს ცნებას მეურნეობა და ქვეცნებას: მოპოვებითი მრეწველობა. საკითხებისთვის მოცემულია მაგალითები შედარებისთვის ადგილობრივი კონტექსტიდან. მაგ: მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კომპონენტში მაჭახელას ხეობა შეადაროს ატენისა და დიდი ლიახვის ხეობას. საკითხების სიღრმისეულად შესასწავლად შერჩეულია მრავალფეროვანი რესურსები.

**ხელოვნება და მუსიკა:** სასკოლო პროექტები და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. თუმცა არის რიგი საკითხები რომელიც აფერხებს სრული სურათის წარმოდგენას,მაგალითად: **მუსიკის** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შეუვსებელია ზოგან საკითხის ველი სრულად კურიკულუმში, ან კონტექსტ მაგალითის ველი. თუ ერთ კლასთან ივსება საკითხის გრაფა სრულად, მეორე კურიკულუმში საკითხის გრაფა ცარიელია და ივსება კონტექსტ-მაგალითი.

**სპორტი**-ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან

მიზნებზე გასვლა.

**სახვითი და გამყენებითი ხელოვნების** დაწყებით საფეხურზე მე 3 კლასში კონტექსტ მაგალითები ბუნდოვანია წარმოდგენილია კითხვების სახით.მე 2 კლასში მხოლოდ სამი თემაა დაგეგმილი,შესავსებია თემები. მე 5 კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილია 5 თემა მაგრამ არ ემთხვევა მითითებული სახელმძღვანელოს,მე 5 კლასის პირველი თემა და კომპლექსური დავალების იდეა იდენტურია მე 3 კლაის პირველი თემისასა და კომპლექსურ დავალებასთან.ასევე არ არის გამოკვეთილი თემატური ბლოკები,თუმცა დაწყებითი კლასების დანარჩენ კურიკულუმის ჩარჩოში ნათლადაა გამოკვეთილი,თემა,ცნებები,ძირითადი საკითხი,კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსი, რაც გვაფიქრებინებს იმას რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს თუ როგორ ხდება თემატური ერთეულის დაგეგმვა ისე რომ მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა სადაც აღნიშნულია,რომ ყველა კათედრაზე პედაგოგების მიერ კურიკულუმის შემუშავების დროს მოხდება გლობალურ ფუნქციური უნარებისა და მაკროცნებების გათვალისწინებით წლიური გეგმის შედგენა.

**ტექნოლოგიები –** კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მის მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ძალიან კარგად აღწერეს რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ და გაითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. კურიკულუმის ჩარჩოსა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ ვფიქრობ, რომ პედაგოგებს სრულიად აქვთ გააზრებული ის, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები.

**სკოლას მიეცა რჩევა ,** რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებას დაემატოს ქვეცნება, რათა ორიენტირება მოხდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის/ მთლიანად სასწავლო

კურსის დონეზე, კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილ იქნას და დაზუსტდეს კონტექსტ მაგალითები. შესაბამისად ფორმულირდეს დავალების იდეა, მოხდეს მრავალფეროვანი რესურსების შეთავაზება/გაწერა როგორც მატერიალური ისე ელექტრონული. მასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად.

**ინდიკატორი 2.1.2.2.დაკმაყოფილებულია**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

**ბუნებისმეტყველება:** სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდიალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ, მაგალითისათვის მოიყვანეს მე-2 კლასში მოსწავლეებმა უნდა შექმნან დიორამა საფრენ აპარატზე, მე-3 კლასში კი მზის სისტემის მოდელი, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში. მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლა აპირებს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება. კომპლექსურ დავალებათა იდეები შექმნილია ისე, რომ განსაზღვრულია მოსწავლეთა ასაკობრივი მახასიათებლები, ინდივიდუალური შესაძლებლობები და შესაძლებელია მისი მოდიფიცირება. გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას.

**მუსიკისა და ხელოვნების** საგანში კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს,მიუხედავად იმისა რომ ხელოვნებაში მეტად საჭიროებს დახვეწას კურიკულუმის ჩარჩო,მაინც ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება რომელიც მისცემს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. ვინაიდან კურიკულუმში მეტწილად მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისთავად მოიაზრებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს სხვადასხვა არჩევანს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და ერთი და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი და მათ შესაძლებლობებზე მორგებული.პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდულუალურ ფიზიკურ და ფსიქიკურ მახასიათებლებს,შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს,მასწავლებლები დროულად გამოკვეთენ საჭიროებებსა და არჩევენ შესაბამის სტრატეგიას სასწავლო შედეგის გასაუმჯობესებლად.აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული რესურსი. აღნიშნულია,რომ ,,სკოლის დირექცია და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სკოლა სსსმ მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის მიზნით შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების სამოქმედო გეგმას,სწავლის დაწყებიდან ორ კვირაში ქმნიან ინდივიდუალურ გეგმებს. როგორც ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლები

საჭიროებიდან გამომდინარე ქმნიან სსსმ მოსწავლეებზე მორგებულ ადაპტირებულ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებს. სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ გამოიყენონე სხვადასხვა თამაშები სწავლების პროცესში სოციალური განვითარების მიზნით. ამჟამად, სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და ვადაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

**სპორტი**-სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემისიდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

**ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია**

**4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

**ბუნებისმეტყველება:** სკოლის დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია ბუნებისმეტყველების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებით, რომლის დახვეწასა და გადახედვასაც აპირებენ ახალ 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

**სპორტი**-დაწყებითიდაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებული**

**5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

**ბუნებისმეტყველება:** გასაუბრებისას კათედრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში. აქვთ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარების გამოცდილება რომელიც გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა შესთავაზათ მე-4 კლასში. სკოლამ უზრუნველყო აღნიშნული წერები ჩაეტარებინა ბეჭდური ვერსიის სახით, რათა შესაძლებლობა ქონოდათ შედეგების ანალიზის. ტესტების შედეგების გაანალიზებას სკოლა გეგმავს ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის. რომლის შედეგებსაც გამოიყენებს ახალი სასწავლო მიზნების შემუშავებისათვის. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჩვეული ტრადიციაა, არსებული კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. შესამჩნევია და თავადაც აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებითა და მეთოდიკური ორიენტირებით სწავლების გამოცდილება დაწყებით საფეხურზე მეტად აქვს, თუმცა მზაობა იმისა, რომ ეს გამოცდილება გადაიტანონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

**სპორტი-**ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატა პედაგოგმა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

**ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია**

**რჩევები და რეკომედაციები:**

**სასურველია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოიყენონ შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები. საბუნებისმეტყველო საგნებში ექსპერიმენტებისა და ცდების განხორციელებებისას, აუცილებელია მოსწავლეებმა აწარმოონ დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, რათა თავად შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი გზები ძიება, რაც ეტაპობრივად დაეხმარება მათ სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარი სწავლების პროცესი. სასურველია სკოლა ჩაებას STEM-საგნების გაძლიერების მიზნით სხვადასხვა სასკოლო, საერთაშორისო, სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ რეგიონალურ , თუ საერთასორისო პროექტებში.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;.

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

**სახელმწიფო ენა-** სასწავლო პროცესი სკოლაში წარმართულია იმგვარად, რომ წახალისებულია მოსწავლეთა მონაწილეობა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში; პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სკოლაში დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, საბოლოო ნაშრომის შექმნა კი შემოქმედებითობას მოითხოვს, რაც საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს, ასევე სკოლაში შექმნილი დადებითი გარემო განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესებში.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება; როგორც ინტერვიუშიც აღნიშნეს, დაკვირვების საფუძველზე, ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი (სკოლამ წარმოადგინა ასევე, ძველი კურიკულუმებიც).2023-24 წლის კურიკულუმში აპირებენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და ამის მიხედვთ დაგეგმონ დავალებები თუ საკლასო სასკოლო პროექტები.

**ბუნებისმეტყველება:** როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა დაწყებით საფეხურზე ბუნებაში გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა -სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული საკლასო პროექტებიც სწორედ მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ემსახურება . კლუბურ მუშაობაში ჩართულობა და სხვადასხვა პროდუქტების შექმნა კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას . სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც პრიორიტეტად სწორედ მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რომელსაც ექნება განვითარებული ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები, მაღალი დემოკრატიული და სამოქალაქო ცნობიერება.

**ტექნოლოგიები -** სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა რომ სკოლის მიერ მხარდაჭერილია, მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, საკლუბო აქტივობები.ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნა, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა წარმოადგინა და დაასახელა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის. აგრეთვე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისას. ამას მოწმობს სკოლაში წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული ციფრული ნამუშევრები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიო, სხვადასხვა ციფრული აქტივობის ამსახველი მასალები.

**ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

**2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

**სახელმწიფო ენა**–დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების მიხედვით, გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს ნაცნობ თემატურ კონტექსტებში(იხ. კურიკულუმის ჩარჩოები), კომპლექსური დავალებების განხორციელება კი თავის თავში გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახლის დაშენებას, კათედრებთან შეხვედრის დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის დაშენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ საფეხურის სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა .ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება განხორციელების პროცესის დასასრულს. კათედრებთან შეხვედრის დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის დაშენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.

**ბუნებისმეტყველება:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი აგებულია წინარე ცოდნის გათვალისწინებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილია ყველა თემა, საკითხთა ტიპოლოგია, ქვესაკითხები. ჩანს სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე . ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამიზიარეს თავიანთი ხედვა და გააჟღერეს რომ სამომავლოდ აპირებენ იმუშაონ ერთობლივად კათედრაზე, გადახედონ და განახორციელონ ცვლილება, რაც შესაძლებლობას მისცემთ უფრო მეტად დახვეწონ წარმოდგენილი კურიკულუმები. ვფიქრობ, სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

**ტექნოლოგიები** – კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, დაასახელეს რამდენიმე მაგალითი და კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის

აგებას.მასწავლებელს კომპიუტერული ტექნოლოგიების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვს რამდენიმე კომპლექსური დავალება სამიზნე ცნებათან მიმართებით. მის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად.

**ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

**სახელმწიფო ენა**–სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი,რომ მოსწავლეს შეუძლია სწავლის ღირებულების განსაზღვრა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას,მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად,რა ცოდნამ,გამოცდილებამ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს და სხვა. (იხ. კურიკულუმები, შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობები); აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შეფასებასა და ურთიერთშეფასებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლების სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობა სასწავლო პროცესში.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

**ბუნებისმეტყველება:** სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის შეძენაზე, არამედ სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენების დაუფლებაზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები სწორედ ამის შესაძლებლობას იძლევა. იმ აქტივობების შესრულებით , რასაც საბოლოო პროდუქტამდე მიყავს მოსწავლეები, რომლებიც თავად აგებენ ცოდნას და ახდენენ მის ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში.

**ტექნოლოგიები –** გადმოგზავნილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებელთა ინტერვიუების ანალიზისას გამოიკვეთა რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. დავალებებზე მუშაობისას ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზს, მსჯელობას–დისკუსიას. გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებს კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს. შესაბამისად, შემიძლია დავასკვნა, რომ სკოლაში სრული მზაობაა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს ,,სწავლის სწავლაზე“, მიღწეულ შედეგებსა და მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე.

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

**4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

კომპლექსური დავალებები, რომლებიც მუშავდება სკოლის დაწყებით საფეხურზე, პირდაპირ უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ

მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.მტკიცებულებად მოსწავლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს. ასევე გამოიკვეთა, რომ აპირებენ დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, რომლებიც მოწავლეებს მისცემს საშუალებას პირობისეული ცოდნა გამოავლინონ.

**ბუნებისმეტყველება:** ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ თუ სამომავლოდ დაგეგმილი დავალებები, მიმდინარე საკლასო, საწრეო თუ არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. შემაჯამებელ დავალებებად გამოყენებულია კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რაც დასტურდება ვიზიტის დროს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და კათედრის პორტფოლიოებში.

**ტექნოლოგიები –** ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. მისი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოს დახვეწა/განვითრებას და მის ესგ-ს მოთხოვნებთან შესაბამისობას, შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება.

**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

**5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება;**

საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,საკვანძო ასპექტები,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას, კერძოდ, დავალების წარდგენისა და შემდგომ გასიტყვების პროცესი მოსწავლისაგან მოითხოვს ახსნას, იმსჯელოს, გამოავლინოს მიმართებები ქვესაკითხებს შორის დაასაბუთოს, მოყვანილი არგუმენტების/წყაროების შესაბამისობა და მართებულობა. კათედრებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ასევე აქვს საგანთან ინტეგრირების გამოცდილებაც (მაგ. ქართული და გეოგრაფია...).ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

კათედრების მიერ წარმოდგენილ საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ

თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

**ბუნებისმეტყველება:** ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ არსებობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, კერძოდ საგან ისტთან, ქართულთან, მათემატიკასთან. როგორც ინტერვიუს დროს გააჟღერეს იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სხვა კათედრების წარმომადგენლებთან.

**ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- შეფასების რუბრიკები;
- პროექტებისა და კლუბების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- თემატური მატრიცები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, თემატური ერთეულის მატრიცით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებითა, კომპლექსური დავალებისა და საკითხის შესასწავლად გამოყენებული რესურსებით. კერძოდ: მე-5 კლასის კურიკულუმს მათემატიკაში დანართად ახლავს თემატური მატრიცა, კომპლექსური დავალების ბარათი, სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მოსწავლის ნაშრომი სოლო ტაქსონომიით შეფასებული. წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე წარმოდგენილი კურიკულუმებით, თემატური ერთეულის მატრიცით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებითა, კომპლექსური დავალებისა და საკითხის შესასწავლად გამოყენებული რესურსებით.

**ბუნებისმეტყველება:** დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანები- სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს პროცესს. ვფიქრობ, წარმოდგენილი დანართების გაანალიზება იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

**მათემატიკა-** წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, თემატური

ერთეულის მატრიცით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებითა, კომპლექსური დავალებისა და საკითხის შესასწავლად გამოყენებული რესურსებით. კერძოდ: მე-5 კლასის კურიკულუმს მათემატიკაში დანართად ახლავს თემატური მატრიცა, კომპლექსური დავალების ბარათი, სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მოსწავლის ნაშრომი სოლო ტაქსონომიით შეფასებული. **სპორტი**-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს,პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

**ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

**2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

**მათემატიკა**- წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოსწავლის პერფორმანსი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ ჩანს რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას. კომპლექსურ დავალებებში არის ზოგიერთი კითხვა რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?.გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შეფასების მექანიზმებში ჩართულია თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ ინდიკატორს.

**ბუნებისმეტყველება:**სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის პრიორიტეტად ისახავს მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიულ განვითარებას, ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის , ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას. კათედრის მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტებიც სწორედ ამ საკითხს ეხმიანება. ჩატარებული კლასის საათებიც და კლასის საათის დროს განხილული თემებიც ემსახურება მოსწავლის არამხოლოდ პიროვნულ, არამედ ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**სპორტი**-საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ზოგად განმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსს და ცხოვრების ჯანსაღი წესის, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.

**ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

**3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

**მათემატიკა**-აღნიშნული მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის მოსწავლეებისათვის მამოტივირებელი და ორიენტირებულია მისი შინაგანი მოტივაციის გაზრდაზე. წარმოდგენილია მოსწავლის ნაშრომი , რომელიც შეფასებულია სოლო ტაქსონომიის მიხედვით, კომპლექსურ დავალების მატრიცებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში,რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ბუნებისმეტყველება:**შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სხვადასხვა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რაც სკოლის პრაქტიკაში გამოიყენება. აგრეთვე დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ნიმუში. ხდება ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მათთვის ნაცნობია ეროვნული სასწავლო გეგმის მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზი- სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

**სპორტი**–სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები , ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან,. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეაა მორგებული და ორიენტირებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

**ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

**მათემატიკა**– სკოლაში ხარისხის ჯგუფთან ერთად შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი მუშაობს,რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო,ობიექტური, სამართლიანი. ინფორმაცია შეფასების თაობაზე მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ჟურნალის საშუალებით; კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავადუზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას.

**ბუნებისმეტყველება:** როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური,სანდო, მასწავლებლები იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს, როგორიცაა გასასვლელი ბარათები. საბუნებისმეტყ ველო საგნების კათედრა, შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ხოლო კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**სპორტი**– მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს სხვადასხვა ინსტრუმენტს რომელსაც აქტიურად იყინებენ და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში გაკვეთილის მსვლელობის დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზნტაცია), ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

**ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

**5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; .**

სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი,სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია",დოკუმენტის თანახმად სკოლაში შექმნილია ვერიფიკაციის ჯგუფი,ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას.სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებენ ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები.**ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

**6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მიმდინარე და საბოლოო განმავითარებელი შეფასებები შეტანილია ელექტრონულ ჟურნალში და მოსწავლის პირად საქმეში.სასურველია სკოლამ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.
**ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ინსტრუქცია
- კურიკულუმები, კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები (განმავითარებელი შეფასება ჩაშენებულია კომპლექსურ დავალებებში)
- შემაჯამებლის ანალიზები
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური ტიპის დავალებების ანალიზისა და განმავითარებელი უკუკავშირის ნიმუშები.
- კომპლექსური დავალება ქართულში .
- მოსწავლეთა ნამუშევრები ( ქართული ) .
- რუბრიკები
- V კლასის კოპლექსური დავალება მათემატიკაში ,,ყვავილნარის დაგეგმარება".
- პროექტი ,,ჩვენ გვიყვარს კითხვა"
- პროექტი ,,ერთად თანადგომისთვის"

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

1.სკოლას 2023-2024 წლისთვის შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია,სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები და ა.შ. სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას

როგორებიცაა: პრობლემის ამოცნობა და გადაჭრა, გადაჭრის გზების ძიება და ყველაზე ოპტიმალურის არჩევა. კრიტიკული აზროვნება, რომელიც ეფუძნება ფაქტების,წარმოდგენების მოსაზრებების კრიტიკულად განხილვასა და გაანალიზებას,

შეკითხვების ჩამოყალიბებას, საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებასა და ა.შ. სკოლის მიზანია მოსწავლეში განავითაროს შემოქმედებითი აზროვნება, რომლისთვისაც ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. მოცემულ კურიკულუმებში ჩაშენებული

კომპლექსური დავალების იდეები ისეა შედგენილი, რომ მისი მიზანია მოსწავლის პიროვნულ  განვითარების ხელშეწყობა. სკოლას საგანში ,,მე და საზოგადოება“ განსაზღვრული აქვს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომელთა შესრულება

მოსწავლისგან ითხოვს მრავალფეროვანი, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას და მიმართულია მის მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე. საგანში ,,ჩემი საქართველო“სწავლა წარიმართება კომლექსური სახის დავალებებით, რომლის ფარგლებშიც

მოსწავლეები შექმნიან ელექტრონულ ბუკლეტებს ტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე, საგაზეთო სტატიას რესურსების რაციონალური გამოყენების აუცილებლობასთან და ა.შ.სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას.სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს სოლიდარობის განცდის, განსხვავებულის მიმღებლობისა და საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების ღირებულებები.სკოლას გააზრებული აქვს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი მახასიათებლებით და ეს გათვალიწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების პროცესში.კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ

სასწავლო პროცესი იყოს ინტერაქციული და მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე,რომ მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს და მის კავშირს სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებასთან.კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერშედგენილი საგნობრივი პროგრამები აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები,განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე.კათედრის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს ის.სკოლა თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს შეხვედრები უფროსკლასელებთან.სკოლა ითვალისწინებს სკოლაში მიღების, ექსტერნისა და სხვა პროცესებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ წესებს.**სკოლა დაწყებითი საფეხურის** მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამის სასწავლო გარემოს. ამასთანავე, სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო.აღსანიშნავია, რომ სკოლას არ გააჩნია სააქტო დარბაზი.სკოლას საგნებში – ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობა განსაზღვრული აქვს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომელთა შესრულება მოსწავლისგან ითხოვს მრავალფეროვანი, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას და მიმართულია მის მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე.

**ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლა USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს პროექტს: ,,სამოქალაქო კლუბი–ტოლერანტები,“ რომლის მიზანია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და მათი აქტიურად ჩართვა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში, სკოლასა და თემში. პროექტის ფარგლებში, სკოლა იწვევს ექიმებს და სპორტსმენებს ჯანსაღი ცხოვრების აუცილებლობაზე სასაუბროდ. ასევე, პროექტის ფარგლებში მომზადებულია ბროშურები თემაზე: ,,ადიქცია და მისი უარყოფითი შედეგები.“ სკოლა აწყობს სპორტულ ღონისძიებებს.

სკოლა ასევე ახორციელებს პროექტს: ,,ჩვენ ვბრუნდებით წიგნებთან“, რომლის ფარგლებშიც ცდილობს გაამრავალფეროვნოს ბიბლიოთეკა, დაგეგმოს წაკითხულზე დისკუსიები, ცდილობს შეუწყოს ხელი მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენას და ა.შ. მრავალფეროვანი პროექტები მიუთითებს, რომ მოსწავლისთვის მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შექმნილია მხარდამჭერი გარემო და სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

სკოლის მიერ, დაწყებით, წარმოდგენილი კურიკულუმები, კურიკულუმების ჩარჩოები, კომპლექსური დავალების იდეები და თავად კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ სათანადოდაა გააზრებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და

ქვეცნებები. დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. მაგ: საგანში ,,მე და საზოგადოება'' წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები ცხოველებისა და მცენარეების დაცვის აუცილებზლობაზე. საგანში ,,ჩვენი საქართველო'' მოცემულია კომპლექსური დავალება, რომლის მიზანია მოსწავლე საკუთარი შექმნილი ელექტრონული ბუკლეტის მეშვეობით დაეხმაროს თანატოლებს ტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე. ასევე მოცემულია კომპლექსური დავალება ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. კომპლექსური დავალება შედგენილია ისე, რომ მოსწავლეს ეხმარება აღმოაჩინოს კავშირი ადგილობრივ მოსახლეობაზე ბუნებრივი რესურსების მოპოვების გავლენაზე და ა.შ მოსწავლეებმა უნდა შექმნან სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროდუქცია, როგორებიცაა: ბუკლეტები, სტატიები და ა.შ. შექმნაზე. კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე და პოზიტიური ქცევის განმტკიცებაზე.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. წარმოდგენილი მე-12 დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლა ეცდება კიდევ უფრო დახვეწოს სასწავლო კურიკულუმები. ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების უკეთესი მონიტორინგისთვის.

**ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

**3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კათედრის სხდომის ოქმით ჩანს, რომ ის წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომლის თითოეული წევრი ჩართულია პროცესის სრულყოფაში.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სასკოლო გეგმის ანალიზით ირკვევა, რომ კათედრები იკრიბებიან რეგულარულად მნიშვნელოვან საკითხებზე სამსჯელოდ და გადაწყვეტილებების მისაღებად. კათედრები თავიანთ ფუნქციებს შორის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გამოკვეთენ საგნობრივი ჯგუფების და მასწავლებლების კოორდინირების განხორციელებას. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას. სკოლაში ცალკეული კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ სხვა კათედრებთან თემატიკის შეთანხმებასა და გაკვეთილის ინტეგრირებაზე.

სკოლა აქტიურად იყენებს კომპლექსურ და გუნდურ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეში თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის უნარების გაღრმავებას უწყობს ხელს სათანადო პროდუქტის მისაღებად.

**ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს.

მოსწავლეებს მათი შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. არ იზღუდება მოსწავლეთა არჩევანი.კათედრები უზრუნველყოფენ მოსწავლეებში მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის, სოციალური მხარდაჭერის თვისებების გაძლიერებას. სკოლა ახორციელებს სოციალურ და სამოქალაქო სწავლებას. ქმნის უსაფრთხო გარემოს სწავლისთვის, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. დავალებები შემუშავებულია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, აძლევს მათ თავისუფალი არჩევანის საშუალებას, რათა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები, შეხედულებები, იდეები და მოსაზრებები.

**ინდიკატორი 2.2.3.4.. დაკმაყოფილებულია**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო გეგმა;
- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალება, ადაპტირებული კომპლექსური დავალება;
- შეჯამების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
- გუნდური მუშაობის შეფასების რუბრიკა;
- პროექტები, ფოტომასალა;

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგს,დირექციასთან ერთად მონიტორინგის პროცესში ჩართულია ხარისხის განვითარების ჯგუფი. ატარებენ დაგეგმილ საჩვენებელ გაკვეთილებს. ხარისხის მართვის ჯგუფთან ჩატარებულ გაკვეთილზე თვითრეფლექსიას ახდენს მასწავლებელი და კონსტრუქციულ, განმავითარებელ უკუკავშირს იღებს ჯგუფისგან.. ყოველი სემესტრის ბოლოს კლასის დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლების მიერ პედაგოგიური საბჭო ისმენს შემაჯამებელ ანგარიშს. როგორც თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავენ მომდევნო წლისთვის მოხდება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და მოახდენენ პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების დელეგირებას რომელსაც ასახავენ სკოლის კურიკულუმში. ასევე მოცემულ დოკუმენტაციაში საგნობრივი ოქმები ყველა საგანში წარმოდგენილია ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების დასახელება ,თუმცა ინსტრუმენტები სრულყოფილად თან არ ახლავს მოცემულ დოკუმენტს.

**ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგს და შეფასებას ზეპირსიტყვიერად, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილს, სკოლაში მიმდინარე მონიტორინგი სასკოლო საზოგადოებისათვის მხოლოდ მხარდამჭერი ფუნქციის მატარებელია. მონიტორინგის დროს წინასწარ შეთანხმებული შეფასების რუბრიკისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებელი იღებს კონსტრუქციული ხასიათის უკუკავშირს. ხდება მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა. სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის ინსტრუმენტისა და თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობისას ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა , რომ მონიტორინგის მთავარი

მიზანია საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება, კათედრებზე განიხილება ყველა მასწავლებლის მოსაზრება და დამოკიდებულება გარკვეული საკითხის მიმართ და ისე ხდება გადაწყვეტილების მიღება. სასკოლო გეგმაში აღნიშნავენ რომ 23-24 წლისთვის შეიმუშავებენ პროექტების, ფორმალური და არაფორმალური აქტივობების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს რომელსაც ასახავენ კურიკულუმში. საგაკვეთილო დაკვირვებებისთვის წინასწარ შეიმუშავებენ განრიგს და გაწერენ პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებს.

**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

როგორც გასაუბრებისას ასევე სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავენ, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელიც გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული. პროექტებისა და ღონისძიებების შეფასება ხდება ზოგადად, ძირითადად ზეპირი განხილვით. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში, დაგეგმილი აქვთ შეიმუშავონ პრობლემის მოგვარების შესაფასებლად მექანიზმს: განმეორებითი დაკვირვება, მასწვალებლის რეფლექსია, მცირე კვლევა, მოსწავლეთა შედეგები იმის დასადგენად რამდენად მოგვარდა პრობლემა. ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტებისა და ღონისძიებების შეფასებისათვის შეიმუშავებენ მონიტორინგის მოქნილ მექანიზმს, რომელიც დაეხმარება ანალიზის გაკეთებაში თუ რამდენად გადაიჭრა მოცემული პრობლემა. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგი ერთ-ერთი საშუალებაა იმის, რომ სწორად მოხდეს პრობლემის იდინტიფიცერება და დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები.

**ინდიკატორი 2.3.1.3.დაკამყოფილებულია**

## დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- გამსაზღვრელი- განმავითარებლი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა. შ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.3.2.2.შესაბამისია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.3.2.3.შესაბამისია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შეფასების პროცესში ურთიერთდაკავშირებულად, სხავადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კვლევის ინტერესი არის, მაგალითად, შემდეგი შინაარსის, მიზნობრივი კითხვები:

- რა პრობლემები გამოვლინდა მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების პროცესში?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარება?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარება? და ა. შ.

კვლევის ორიენტირი მოიცავს განსხვავებული კონტექსტებიდან ინფორმაციის შეგროვებას, როგორიც არის სკოლის ინსტიტუციური განვითარება, პედაგოგთა პროფესიული განვითარება და ა. შ .

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** თვითშეფასება.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის**

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. რეკომენდაციები, მეთოდოლოგიის მიხედვით, უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ „შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომლის გაზიარებაც მოხდება სკოლის მასწავლებლებისათვის.

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და პედაგოგების ინტერვიუებიდან ირკვევა რომ სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში", რომლის ფარგლებში საგნობრივი ქოუჩები სისტემატიურად ხვდებოდნენ მათ და ხდებოდა საგნობრივი კურიკულუმებისა და თემატური

მატრიცების ბანკის შექმნა, რომელსაც დღემდე წარმატებით იყენებენ დაწყებით საფეხურზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ხორციელდება საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისია.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა / მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში მათი მონაწილეობის საკითხს.
- მოსწავლეთა შედეგებს, რომელიც შეეხება წინა სასწავლო წელთან მოსწავლეთა მიღწევებში არსებული ცვლილებების საკითხს.
- მშობლების ჩართულობა, რომელიც აღწერს, რამდენად გაიაზრეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია, მისი დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან.
- კათედრები, რომლიც შეეხება მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის დანერგვის საკითხებს.
- სკოლის დირექცია, რომელიც აღწერს რა ფაქტორები უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირება სკოლაში მიმდინარე და მმართველობით პროცესებთან.

პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საგნობრივ კათედრებს. სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მიღწევებს და მიგნებებს

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა ციკლური პროცესი არის და მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მასზე მუშაობა. სკოლა/ მათემატიკის კათედრა გეგმავს 2023-2024 წელს სასწავლო პროცესის წარმართვას გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმებით.

ამასთანავე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, საგნობრივი კათედრების იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის თვითშეფასების კითხვარის ფორმა
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** საგნობრივი კურიკულუმები
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი<br>(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი –** ზოგადი განათლების **საბაზო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'',დოკუმენტი დამტკიცებულია 2023 წლის 25 ივლისის სკოლის დირექტორის N2-98 ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეების, მშობელების, მასწავლებლების, დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, დირექციის მუშაობა.

ამასთან მეთოდოლოოგიის მიხედვით, კურუკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწალო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.

სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით, საბაზო საფეხურის კურიკულუმით და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

საბაზო საფეხურის კურიკულუმში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება მოწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უშლიდა ან უწყობდა ხელს მათ ჩართულობას; მოსწავლეთა შედეგები, რამდენად გაუმჯობესდება წინა წელთან შედარებით. მშობელთა ჩართულობა, რამდენად შეძლეს მათ მისიის, ხედვისა და სასკოლო კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ პრიორიტეტებთან.

**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია საბაზო საფეხურის კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თითოეული მასწავლებელი აღწერს და კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, მონაწილეობას მიიღებს სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები შემუშავებულია კათედრის ყველა წევრის ჩართულობით მეთოდოლოგიის შესაბამისად.

**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად

გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას: სკოლის ვებ.გვერდი, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, ორმხრივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023 წლის 25 ივლისის სკოლის დირექტორის N2-98 ბრძანება. 2023-2024სასწ. წლისსასწავლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

**მათემატიკა**-სსიპ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმები სრულად წარმოდგენილია საშუალო საფეხურისაგან განსხვავებით ყველა კლასისათვის. სკოლას მიეცა რეკომედაცია, რომ ახალი 2023-2024 სასწავლო

წლის დაწყებამდე კათედრებმა კიდევ ერთხელ ერთობლივად გადახედონ კურიკულუმებს და სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ ცვლილება. როგორც წინა საფეხურების კურიკულუმები, ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასის, ყველა საგნობრივი პროგრამის ჩარჩო. კათედრებს სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი, კათედრები მზად არიან კურიკულუმები დახვეწონ ურთიერთთანამშრომლობისა და გაზიარების საფუძველზე და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2023-2024 სასწავლო წლიდან.

**უცხოური ენების** საგნობრივი ჯგუფისთვის სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიქტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლის მიერ, საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე (გეოგრაფია,ისტორია, მოქალაქეობა) წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სწავლის პროცესი განხილულია, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. კურიკულუმებში ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. შედეგები განსაზღვრულია საფეხურის მიხედვით, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებში. კურიკულუმში თანმიმდევრულადაა აღერილი ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები ცალკეული თემებისთვის. სათანადოდაა განსაზღვრული შუალედური მიზნები სასწავლო შინაარსთან ერთად. კურიკულუმი ითვალიწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და წინარე ცოდნას.

კურიკულუმები აჩვენებს, რომ სკოლა უპირატესობას ანიჭებს კომპლექსური ბუნების დავალებებს. მოცემულ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები ისეა შედგენილი, რომ მისი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალათა განვითარების ხელშეწყობა. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესი განხილულ იქნეს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლე თავად აწარმოებს ცოდნის კონსტრუირებას.

სკოლას საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში განსაზღვრული აქვს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომელთა შესრულება მოსწავლისგან ითხოვს მრავალფეროვანი, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას და მიმართულია მის მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე. მოცემული დავალებები მიემართება საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე განსაზღვრულ გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით.

**მუსიკის** კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებელი სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა დაგეგმილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ , შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.) **ხელოვნებაში**-იქიდან გამომდინარე რომ (როგორც ინტერვიუზე აღნიშნეს) კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობა დაჩქარებულ რეჟიმში მოხდა საბაზო საფეხურზე მე 8 კლასის ყველა თემის სამიზნე ცნებების სვეტები დასაკორექტირებელია:ზოგან საერთოდ არ წერია,ზოგან ნაწილობრივ წერია და ზოგან ზედმეტად არის ჩას მული. ბლოკები სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი,ასევე ამავე კლასის რამდენიმე თემაში მისათითებელია ქვეცნებები. თუმცა მე 7 და მე 9 კლასში წარმოდგენილია სამივე თემატური ბლოკის ფარგლებში დაგეგმილი თემები,საკითხები,კონტექსტ მაგალითი,რესურსი და კომპლექსური დავალებები.

რაც საერთო ჯამში გვაფიქრებინებს,რომ კათედრას აქვს მზაობა დანარჩენ კლასებშიც სწორად დაგეგმოს სასწავლო გეგმა.თავადაც აღნიშნავენ წარმოდგენილ დოკუმენტში,რომ სექტემბრამდე კათედრა დახვეწავს და სრულად გაწერს სასწავლო გეგმას.ინტერვიურების პროცეში დაზუსტდა კურიკულუმებში არსებული ხარვეზები და დაიგეგმა სრულფასოვანი სასწავლო გეგმების შევსება მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

**სახელმწიფო ენა-** წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში გარკვეული ხარვეზებია, კერძოდ არაა გაწერილი ცნებები ყველა თემატურ ერთეულში, მე-9 კლასში არცერთი კომპლექსური დავალება არაა გაწერილი და ა.შ. მიუხედავად ამისა, შეხვედრისას კათედრამ თავად ისაუბრა კურიკულუმში არსებულ ხარვეზებზე, რომელთა გამოსწორებაც უკვე დაწყებული აქვთ და სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე არსებულ ხარვეზებს გამოასწორებენ.

**ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

**მათემატიკა**-საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ფხვენისის სკოლას საგნობრივი ექსპერტებისგან გასაუბრების დროს მიეცა რეკომენდაცია, რომ სრულად დაფარონ კურიკულუმებში ყველა თემა და თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. საბაზო საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, ორივე სემესტრში მუშავდება პროექტები, მსჯელობას ამყარებს იუვესაიდის ბიზნეს ფორუმის ფარგლებში დაფინანსებული პროექტით სკოლის ეზოში მოწყობილი გარე სცენა, რომელიც ჯერ-ჯერობით დანერგვისა და შემუშავების ეტაპზეა. პროექტის ფარგლებში გაწერილია ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განუვითარდეს გლობალური ფუნქციური უნარები. პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლის მიერ, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კურიკულუმების ჩარჩოები, კომპლექსური დავალების იდეები და თავად კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ სათანადოდაა გააზრებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. მაგ: გეოგრაფიის მე-7 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები: საგაზეთო სტატიის მეშვეობით (კუნძულ ჰენდერსონის მაგალითზე) წყნარი ოკეანის დაბინძურების თანამედროვე მდგომარეოისა და მისი მსოფლიო ოკეანის ეკოსისტემაზე

გავლენის წარმოჩენა; ეკონომიკასა და ეკოლოგიური პრობლემებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე და ა.შ. საგანში: მოქალაქეობა წარმოდგენილა კომპლექსური დავალებების იდეები კულტურულად მრავალფეროვან თემში მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტის შექმნაზე , ადიქციის შესახებ ბოსტერის შექმნაზე და ა.შ

სკოლა სასწავლო პროცესში მიმართავს გუნდური მუშაობის პრინციპსას, რომლის მიზანია მოსწავლეებში გუნდური მუშაობის და კომუნიკაცია/კოლაბორაციის უნარების განვითარება.

**ხელოვნება და მუსიკა:** სასკოლო პროექტები და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. კურიკულუმების ჩარჩოები, კომპლექსური დავალების იდეები და თავად კომპლექსური დავალებები ისეა გაწერილი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ კათედრას სათანადოდა აქვს გააზრებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. კათედრა ხშირად მიმართავს გუნდური მუშაობის პრინციპებს რაც გამოიკვეთა ინტერვიურებისას.

**ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია**

### ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

**მათემატიკა**-სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან,რომლის მტკიცებულებაა სპეც პედაგოგთან გასაუბრების შედეგად ნანახი კომპლექსური დავალებებიო. მაგალითისათვის მოვიყვან ბიოლოოგის მე-7 კლასის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, სადაც ჩაშენებული იყო კომპლექსური დავალება. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდიალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლა აპირებს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლას განსაზღვრული აქვს სსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება. კომპლექსურ დავალებათა იდეები შექმნილია ისე, რომ განსაზღვრულია მოსწავლეთა ასაკობრივი მახასიათებლები, ინდივიდუალური შესაძლებლობები და შესაძლებელია მისი მოდიფიცირება. გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას.

საბაზო საფეხურზე ისტორიაში სკოლას წარმოდგენილი აქვს ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში და მოსწავლის მიერ გასულ სასწავლო წელს შესრულებული დავალება, რომელშიც მიღწეულია მასწავლებლის მიერ დასახული მიზნები.

**მუსიკისა და ხელოვნების** საგანში კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს,მიუხედავად იმისა რომ ხელოვნებაში მეტად საჭიროებს დახვეწას კურიკულუმის ჩარჩო,მაინც ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება რომელიც მისცემს მოსწავლეს შესძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. ვინაიდან კურიკულუმში მეტწილად მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისთავად მოიაზრებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს სხვადასხვა არჩევანს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და ერთი და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი და მათ შესაძლებლობებზე მორგებული.პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდულუალურ ფიზიკურ და ფსიქიკურ მახასიათებლებს,შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს,მასწავლებლები დროულად გამოკვეთენ საჭიროებებსა და არჩევენ შესაბამის სტრატეგიას სასწავლო შედეგის გასაუმჯობესებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული რესურსი. აღნიშნულია,რომ ,,სკოლის დირექცია და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სკოლა სსსმ მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის მიზნით შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების სამოქმედო გეგმას,სწავლის დაწყებიდან ორ კვირაში შქმნიან ინდივიდუალურ გეგმებს. როგორც ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლები საჭიროებიდან გამომდინარე ქმნიან სსსმ მოსწავლეებზე მორგებულ ადაპტირებულ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებს. სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ გამოიყენონე სხვადასხვა თამაშები სწავლების პროცესში სოციალური განვითარების მიზნით.

### ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია

**ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

**მათემატიკა-**საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია ყველა საგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებით, რომლის დახვეწასა და გადახედვასაც აპირებენ ახალ 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასებებში მოცემულია თუ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ასევე წარმოდგენილი აქვს ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობის შესაფასებლად. შეფასება აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება და მათი დაკავშირება ერთმანეთთან. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერის განხორციელებას, რომლის მიზანია დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა.

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა ისეა შედგენილი, რომ აჩვენოს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას. შეფასებების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეს წინსვლაში.

**მუსიკა და ხელოვნება:**კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან შეიძლება ითქვას რომ შეფასება მიემართებამოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს.სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ,რომ მათ მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. ინტერვიურებისას აღნიშნეს რომ კათედრაზე განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია მაგრამ სამომავლოდ აპირებენ მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკის უფრო აქტიურად გამოყენებას რადგან ნათლად დაანახონ მოსწავლეებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები.

**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი;**

**მათემატიკა-**გასაუბრებისას კათედრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში. აქვთ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარების გამოცდილება რომელის გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა შესთავაზათ მე-4 და მე-8 კლასებში. სკოლამ უზრუნველყო აღნიშნული წერები ჩაეტარებინა ბეჭდური ვერსიის სახით, რათა შესაძლებლობა ქონოდათ სედეგების ანალიზის. ტესტების შედეგების გაანალიზებას სკოლა გეგმავს ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის. რომლის შედეგებსაც გამოიყენებს ახალი სასწავლო მიზნების შემუშავებისათვის. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჩვეული ტრადიციაა, არსებული კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. შესამჩნევია და თავადაც აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებითა და მეთოდიკური ორიენტირებით სწავლების გამოცდილება საბაზო საფეხურზე აქვთ, თუმცა მზაობა იმისა, რომ ეს გამოცდილება გადაიტანონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

**ხელოვნება და მუსიკა:** წარმოდგენილი მასწავლებლის პორთფოლიოებიდან ჩანს მათი გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები,წინა წლის თემატური გეგმა, როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუდან და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაციიდან შიძლება ითქვას,რომ მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

**რჩევა:**

**სასურველია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოიყენონ შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები. საბუნებისმეტყველო საგნებში ექსპერიმენტებისა და ცდების განხორციელებებისას, აუცილებელია მოსწავლეებმა აწარმოონ დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, რათა თავად შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი გზები ძიება, რაც ეტაპობრივად დაეხმარება მათ სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარი სწავლების პროცესი.**

**სასურველია სკოლა ჩაებას STEM-საგნების გაძლიერების მიზნით სხვადასხვა სასკოლო, საერთაშორისო, სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ რეგიონალურ , თუ საერთასორისო პროექტებში.**

**ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;**
- **მასწავლებლის რეფლექსია;**
- **კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;**

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

### 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

**მათემატიკა-** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება; ინტერვიუშიც აღნიშნეს,რომ, დაკვირვების საფუძველზე, ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი (სკოლამ წარმოადგინა ასევე, ძველი კურიკულუმებიც). მე-2 სტანდარტის აღწერაში სკოლა წერს: „საგაკვეთილო პროცესში ვიყენებთ მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებაზე მიმართულ მეთოდოლოგიას, როგორიცაა: პრაქტიკული დავალებები, პრობლემის გადაჭრა, ცდების ჩატარება, თანამშრომლობითი სწავლების ფორმები.

2023-24 წლის კურიკულუმში გავითვალისწინებთ მოსწავლეთა მისწრაფებებს და მათი ინტერესების გათვალისწინებით დავგეგმავთ კომპლექსურ დავალებებს და საკლასო თუ სასკოლო პროექტებს.“

საბაზო საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**: სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კომპლექსური დავალებები რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებისგან მოითხოვს შემოქმედებითი უნარის გამოვლენას. ამასთანავე, სკოლა ახორციელებს რამდენიმე მნიშნელოვან პროექტს.

**მუსიკა და ხელოვნების** მასწავლებელი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავს და ახორციელებს სასკოლო ღონისძიევებებს,რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.სასწავლო პროცესი სკოლაში წარმართულია იმგვარად, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა მონაწილეობას აქტიურ შემოქმედებით პროცესებში; პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი.

**სახელმწიფო ენა**-საბაზო საფეხურზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, საბოლოო ნაშრომის შექმნა კი შემოქმედებითობას მოითხოვს, რაც საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს, ასევე სკოლაში შექმნილი დადებითი გარემო განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესებში.

სამივე საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.2.1.1დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

**მათემატიკა**-სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა .ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება განხორციელების პროცესის დასასრულს. კათედრებთან შეხვედრის დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის დაშენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.
**საზოგადოებრივი მეცნიერებები**: სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში საკითხები ისეა დალაგებულია, რომ წინარე ცოდნა წარმოადგენს ბაზისს ახალი ცოდნისთვის. კომპლექსური დავალებების განხორციელება ასევე გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურების აუცილებლობასს. სკოლამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გეგმავს ამ მიზნით დიაგნოსტიკური წერების ჩატარებასაც. მაგ: გეოგრაფიის მე-7 კლასის კურიკულუმში კავკასიის

რეგიონის ეკოლოგიური პრობლემების განხილვა ხდება მას შემდეგ რაც ამავე სასწავლო წელს მოსწავლეს უკვე გააზრებული აქვს ზოგადად ეკოლოგიური პრობლემების არსი და მაგალითები. ისტორიაში კურიკულუმი შედგენილია ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით და ა.შ

**მუსიკაში** კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება . კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა , არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.

**სახელმწიფო ენა –**საბაზო საფეხურის კურიკულუმების მიხედვით, გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს ნაცნობ თემატურ კონტექსტებში(იხ. კურიკულუმის ჩარჩოები), კომპლექსური დავალებების განხორციელება კი თავის თავში გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახლის დაშენებას, კათედრებთან შეხვედრის დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის დაშენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

**მათემატიკა–**კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი,რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას,მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად,რა ცოდნამ,გამოცდილებამ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს და სხვა. (იხ. კურიკულუმები, შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობები); აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შეფასებასა და ურთიერთშეფასებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლების სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობა სასწავლო პროცესში.

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას. სკოლას დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვს მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს რა შეასრულა კარგად,რა ცოდნამ,გამოცდილებამ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს და სხვა.

**სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში** ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა დეტალურად ისაუბრეს თუ როგორ იყენებენ პედაგოგები სხვადასხვა სტრატეგიებს, დაგეგმილი დავალებები მოსწავლეს აძლევს ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მოსწავლე თავად ახდენს შესრულებული დავლების ანალიზს,მას შეუძლია პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, მას შეუძლია სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად.

**სახელმწიფო ენა** სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი,რომ მოსწავლეს შეუძლია სწავლის ღირებულების განსაზღვრა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას,მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად,რა ცოდნამ,გამოცდილებამ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება,როგორ გაუმკვლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს

და სხვა. (იხ. კურიკულუმები, შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობები); აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შეფასებასა და ურთიერთშეფასებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობა სასწავლო პროცესში.

**საბაზო** საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

**მათემატიკა**–კომპლექსური დავალებები, რომლებიც მუშავდება სკოლის საბაზო საფეხურზე, პირდაპირ უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.მტკიცებულებად მოსწავლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს. ასევე გამოიკვეთა, რომ აპირებენ დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, რომლებიც მოსაწვლეებს მისცემს საშუალებას პირობისეული ცოდნა გამოავლინონ.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** ვინაიდან სკოლის საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეები, ეს ხაზს უსვამს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისგან მოითხოვს როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნას, ასევე შემოქმედებითი უნარების გამოვლენას. კომპლექსური დავალებები ეფუძნება მოქმედებათა თანმიმდევრობის განსაზღვრას. მოცემული კომპლექსური დავალების იდეები და მაგალითები შედარებითსვის იძლევა შესაძლებლობას ცოდნა გადაიტანონ რეალურ გარემოში და გამოიყენონ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

**ხელოვნება და მუსიკა:**ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არისასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზეუზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატური

**სახელმწიფო ენა**–კომპლექსური დავალებები, რომლებიც მუშავდება **, საბაზო საფეხურზე,** პირდაპირ უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ

პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.მტკიცებულებად მოსწავლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს.

**ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

**მათემატიკა**–კათედრების მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.
**ხელოვნება და მუსიკა**:ორივე საგნის კომპლექსურ დავალებებში ( მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) არის განსაზღვრული სასწავლო მიზნები/საკითხები/ სწავლების სტრატეგიები რომელიც დაფუძნებულია ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრების, ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებასთან . კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
**სახელმწიფო ენა**– საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა , საკვანძო ასპექტები,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას, კერძოდ, დავალების წარდგენისა და შემდგომ გასიტყვების პროცესი მოსწავლისაგან მოითხოვს ახსნას, იმსჯელოს, გამოავლინოს მიმართებები ქვესაკითხებს შორის დაასაბუთოს, მოყვანილი არგუმენტების/წყაროების შესაბამისობა და მართებულობა. ქართულის კათედრასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ასევე აქვს საგანთან ინტეგრირების გამოცდილებაც (მაგ. ქართული და გეოგრაფია...).ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფეხურის კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

**ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- შეფასების რუბრიკები;
- პროექტებისა და კლუბების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- თემატური მატრიცები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

**მათემატიკა**–წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის

კურიკულუმებით, თემატური ერთეულის მატრიცით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებითა, კომპლექსური დავალებისა და საკითხის შესასწავლად გამოყენებული რესურსებით. კერძოდ: წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებით, თემატური ერთეულის მატრიცით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებითა, კომპლექსური დავალებისა და საკითხის შესასწავლად გამოყენებული რესურსებით. კერძოდ: მე-7, მე-9 კლასის კურიკულუმებს მათემატიკაში დანართად ახლავს თემატური მატრიცა, კომპლექსური დავალების ბარათი, სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მოსწავლის ნაშრომი სოლო ტაქსონომიით შეფასებული.შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** კურიკულუმების აგებისას გათვალისწინებულია კონკრეტული საგნის სამიზნე ცნებები. ასევე, სამიზნე ცნებების დაკმაყოფილება ხდება საკითხებით და საკითხთა კლასტერებით. მაგ: ისტორიაში ცნება-დრო მიიღწევა საკითხებით: ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა და ა.შ. ცნება - ისტორიული მოვლენა / პროცესი მიიღწევა საკითხებით: 1. მიგრაცია, .ადამიანის წარმოშობა, ევოლუციის (განვითარების) თეორია; .პირველი ჰომინინები (ავსტრალოპითეკი, ჰომო ჰაბილისი, ჰომო ერექტუსი), დმანისის აღმოჩენები და ა.შ. გეოგრაფიაში ცნება- .გეოგრაფიული გარსი და ქვეცნება ჰიდროსფერო მიიღწევა საკითხებით მსოფლიო ოკეანე, მიწისქვეშა წყლები, მდინარეები და ა.შ მოქალქეობაში ცნება - საზოგადოება მიიღწევა საკითხებით: სამოქალაქო საზოგადოება, მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში , არასათავრობო ორგანიზაციები , მედია და საზოგადოება , საზოგადოებრივი ცენტრები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ

**მუსიკა და ხელოვნება:**მასწავლებლების პორტფოლიოებში,კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიურებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ხელოვნებაში მე 7 და მე 9 კლასების კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

**სახელმწიფო ენა-** კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, თუმცა, წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში სამიზნე ცნებები მუშავდება საგნობრივ საკითხებზე, კონკრეტულ თემაზე დაყრდნობით, შესაბამისად, უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. ქართულის კათედრის მიერ წარმოდგენილ დანართებში, **საფეხურის** კურიკულუმის ჩარჩოებში, თანდართულ მატრიცებში გაწერილია სამიზნე ცნებები,მკვიდრი წარმოდგენები,საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები,რაც განსაზღვრავს იმ ცოდნას,რომელსაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ცხადი გახდა, რომ ისინი სწორად იაზრებენ მიმართებებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის და მათ მიერ განხორციელებულ თუ სამომავლოდ დაგეგმილ დავალებებში გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა საგნობრივ კონტექსტში განიხილება.

**ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

**სახელმწიფო ენა-** ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, საფეხურზე

დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, განსაკუთრებით კი გასიტყვების ეტაპი აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები, ისაუბრონ სწავლის სტრატეგიებზე, რა გაუჭირდათ, რა გაუადვილდათ, როგორ დაგეგმეს საკუთარი საქმიანობა კონკრეტული დავალების შესასრულებლად და ა.შ. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე.

თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს:,,მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმშიც გავითვალისწინებთ ისეთ კონტექსტებს, როგორიცაა: ემპათია, პრობლემის გადაჭრა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ტოლერანტობა და ა.შ.. კათედრასთან შეხვედრისასაც გამოიკვეთა მათი ეს სამომავლო გეგმები.

**საზოგადოებრივი მეცნირებები**: საბაზო საფეხურის საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწალეებმა უნდა იმუშაონ დავალებებზე, რომელთა მიზანია მოსწავლეებში ხელი შეუწყოს გარემოზე ზრუნვის, ტოლერანტობის, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის და სხვა ძირითადი უნარების განვითარებას. კონტექსტ მაგალითები მოცემულია ისე, რომ მოსწავლეებმა მარტივად შეძლონ ნასწავლის რეალურ გარემოში გადატანა.

**მუსიკა და ხელოვნება:** დამატებით დოკუმენტებში წარმოდგენილი (კომპლექსური დავალებები,პროექტები) ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ინტერვიუზე ისაუბრეს რამდენიმე საერთო ღონისძიებაზე რომელიც განახორციელეს სწავლების პროცესში რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, მოსწავლეებს უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

**ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

**მათემატიკა-.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; .აღნიშნული მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის მოსწავლეებისათვის მამოტივირებელი და ორიენტირებულია მისი შინაგანი მოტივაციის გაზრდაზე. წარმოდგენილია მოსწავლის ნაშრომი , რომელიც შეფასებულია სოლო ტაქსონომიის მიხედვით, კომპლექსურ დავალების მატრიცებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში,რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა;აღნიშნული მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის მოსწავლეებისათვის მამოტივირებელი და ორიენტირებულია მისი შინაგანი მოტივაციის გაზრდაზე. წარმოდგენილია მოსწავლის ნაშრომი , რომელიც შეფასებულია სოლო ტაქსონომიის მიხედვით, კომპლექსურ დავალების მატრიცებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის

განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**სახელმწიფოენა**კათედრამწარმოადგინაშეფასების რუბრიკები,(კითხვის,წერის,ჩართულობის,ზეპირმეტყველების,პრეზენტაციის)ასევე აქვთ სოლო ტაქსონომიით კომპლექსური დავალებების შეფასების გამოცდილება,გაცნობიერებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა სწავლა-სწავლების პროცესში, უპირატესობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, შერჩეული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი ,ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან , თემებთან მიმართებით,სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით, შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს საფეხურისთვის, ხოლო სტანდარტის ზოგად ინდიკატორებსა და დავალების კრიტერიუმებზე დაყრდნობით შექმნიან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს V-XII კლასებისთვის.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების შესახებ კათედრის შეხვედრებზე; კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლისგან იღებენ მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ ინფორმაციას. კათედრაზევე გეგმავენ სადიაგნოსტიკო წერის შედეგებს შეფასებას და მის შესაბამისად აქტივობების დაგეგმვას.

**მუსიკა და ხელოვნება:** შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში,სადაც აღინიშნება,რომ მოსწავლეები შეფასების ინდიკატორებისა და რუბრიკების შესახებ ინფორმაციას მიიღებენ როგორც გაკვეთილებზე, ასევე თითოეული შემაჯამებელი დავალების წერისას. მოსწავლეებს უკუკავშირის გათვალისწინებით, საშუალება ექნებათ შეაფასონ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ იმუშავონ არსებულ გამოწვევებზე. ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლა ხელმძღვანელობს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით, ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიაზე დაყრდნობით, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სისტემატიურად იყენებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

**ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**
**მათემატიკა**-განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები დგინდება კათედრის ერთობლივი მუშაობით. შეფასებებისთვის გაცნობის შესაძლებლობა აქვთ მოსწავლეებს. სკოლას გააჩნია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ვალიდობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის აუცილებელი მახასიათებლები. ამავე დოკუმენტში ასახულია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის; დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული;

**მუსიკა და ხელოვნება:** შეფასების სისტემის ვალიდურობაზე/გამჭირვალობაზე/სანდოობაზე /ობიექტურობაზე/სამართლიანობაზე მეტყველებს კათედრის მიერ მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. (სასურველია შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.)

**სახელმწიფო ენა-** შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია,მომავალი სასწავლო წლისათვის **ქართულის კათედრა საბაზო** საფეხურისთვის გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას,მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების მეთოდოლოგიას,შეფასების კრიტერიუმებს, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს,გამოკვეთენ,რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება,შესაბამისად,შეფასება იქნება ვალიდური.მოსწავლეებს ეცოდინებათ,თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა- ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე,ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ნიშანი და ქულა იქნება რეალისტური ,დახვეწილი და არაორაზროვანი.,ამ შემთხვევაში ,კი, შეფასება იქნება სანდო.

**ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია“, დოკუმენტის თანახმად სკოლაში შექმნილია ვერიფიკაციის ჯგუფი, ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებენ ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები.

**ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მიმდინარე და საბოლოო განმავითარებელი შეფასებები შეტანილია ელექტრონულ ჟურნალში და მოსწავლის პირად საქმეში. სასურველია სკოლამ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ინსტრუქცია;
- კურიკულუმები, კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები (განმავითარებელი შეფასება ჩაშენებულია კომპლექსურ დავალებებში);
- შემაჯამებლის ანალიზები;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- VII კლასის კოპლექსური დავალებები მათემატიკაში ,,ქალაქის და /ან უბნის სავალი ნაწილის დაგეგმარება " , ,,პაროლის შექმნა ,, IX კლასის კომპლექსური დავალება ,,ფინანსური მათემატიკა" , თემატური მატრიცებით, კომპლექსური დავალების ბარათებით, მოსწავლის ნამუშევრებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით;
- ისტორიაში შესრულებული კომპლექსური დავალება ,,დმანისის აღმოჩენები" , თემატური მატრიცით, კომპლექსური დავალების ბარათით, მოსწავლის ნამუშევრით, განმავითარებელი შეფასებით;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლას 2023-2024 წლისთვის შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები და ა.შ. სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების

მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას როგორებიცაა: პრობლემის ამოცნობა და გადაჭრა, გადაჭრის გზების ძიება და ყველაზე ოპტიმალურის არჩევა. კრიტიკული აზროვნება, რომელიც ეფუძნება ფაქტების, წარმოდგენების მოსაზრებების კრიტიკულად განხილვასა და გაანალიზებას, შეკითხვების ჩამოყალიბებას, საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებასა და ა.შ. სკოლის მიზანია მოსწავლეში განავითაროს შემოქმედებითი აზროვნება, რომლისთვისაც ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს.

მოცემულ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები ისეა შედგენილი, რომ მისი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძლათა განვითარების ხელშეწყობა. სკოლას საგნებში - ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობა განსაზღვრული აქვს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომელთა შესრულება მოსწავლისგან ითხოვს მრავალფეროვანი, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას და მიმართულია მის მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე. საბაზო საფეხურზე საგნების კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები მოითხოვს მოსწავლეებისგან ისეთი შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას როგორებიცაა: საგაზეთო სტატიები, პოსტერები, პრეზენტაციები, კვლევის ანგარიშები და ა.შ. კომპლექსური დავალებების იდეები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლემ გაიღრმავოს თავისი ცოდნა საკითხზე.
პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას.

სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს სოლიდარობის განცდის, განსხვავებულის მიმღებლობისა და საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების ღირებულებები.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი მახასიათებლებით და ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ სასწავლო პროცესი იყოს ინტერაქციული და მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს და მის კავშირს სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებასთან.

კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ შედგენილი საგნობრივი პროგრამები აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდის საშუალებას.

სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე.

კათედრის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს ის.

სკოლა თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს შეხვედრები უფროსკლასელებთან.

სკოლა ითვალისწინებს სკოლაში მიღების, ექსტერნისა და სხვა პროცესებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ წესებს.

სკოლა საბაზო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამის სასწავლო გარემოს. ამასთანავე, სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო.

**ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლა USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს პროექტს: ,,სამოქალაქო კლუბი-ტოლერანტები,“ რომლის მიზანია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და მათი აქტიურად ჩართვა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში, სკოლასა და თემში. პროექტის ფარგლებში, სკოლა იწვევს ექიმებს და სპორტსმენებს ჯანსაღი ცხოვრების აუცილებლობაზე სასაუბროდ. ასევე, პროექტის ფარგლებში მომზადებულია ბროშურები თემაზე: ,,ადიქცია და მისი უარყოფითი შედეგები.“ სკოლა აწყობს სპორტულ ღონისძიებებს.სკოლა ასევე ახორციელებს პროექტს: ,,ჩვენ ვბრუნდებით წიგნებთან“, რომლის ფარგლებშიც ცდილობს გაამრავალფეროვნოს ბიბლიოთეკა, დაგეგმოს წაკითხულზე დისკუსიები, ცდილობს შეუწყოს ხელი მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენას და ა.შ. მრავალფეროვანი პროექტები მიუთითებს, რომ მოსწავლისთვის მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შექმნილია მხარდამჭერი გარემო და სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

სკოლის მიერ, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კურიკულუმების ჩარჩოები, კომპლექსური დავალების იდეები და თავად კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ სათანადოდაა გააზრებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. მაგ: საგანში ,,მოქალაქეობა“ წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემაზე, მოქალაქეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე, მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის აუცილებლობაზე, რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და ა.შკომპლექსური დავალება შედგენილია ისე, რომ მოსწავლეს ეხმარება აღმოაჩინოს კავშირი ადგილობრივ მოსახლეობაზე ბუნებრივი რესურსების მოპოვების გავლენაზე და ა.შ მოსწავლეებმა უნდა შექმნან სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროდუქცია, როგორებიცაა: ბუკლეტები, სტატიები, თხზულებები და ა.შ. შექმნაზე. კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე და პოზიტიური ქცევის განმტკიცებაზე. საკითხები ეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პროცესებს. მაგ: ოკეანეების დაბინძურება, გლობალური კლიმატური ცვლილების გავლენა ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაზე, გაუდაბნოება, სეისმური აქტივობების სტატისტიკაზე დაკვირვება და ა.შ ამასთანავე, შერჩეულია აქტუალური კონტექსტ-მაგალითები. მაგ: 2023 წლის თურქეთ-სირიის მიწისძვრა, არალის ზღვის ეკოლოგიური პრობლემა და ა.შ. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში გათვალიწინებულია მოსწავლის ინტერესები.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. წარმოდგენილი მე-12 დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლა ეცდება კიდევ უფრო დახვეწოს სასწავლო კურიკულუმები. ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების უკეთესი მონიტორინგისთვის გეგმავს 2023-2023 წლიდან ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა ატარებს ყოველწლიურ ტესტირებას ამავე მიზნით.

საბაზო საფეხურზე სკოლას ჰყავს სპეციალური საჭიროების მოსწავლე, რომელსაც ის სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ასევე ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებას. მოცემული ადაპტირებული კომპლექსური დავალება ორიენტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. თავად კომპლექსური დავალება კი წარმოადგენს ნაბიჯს/ნაბიჯებს დასახული გრძელვადიანი მიზნის მისაღწევ გზაზე.შესაბამისად, კომპლექსურ დავალებაში ინტეგრირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მოკლევადიანი მიზნები. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება, რომელშიც ჩანს, რომ მიღწეულია როგორც მოკლევადიანი, ისე გრძევადიანი მიზანი. როგორც გასაუბრებისას გაირკვა, მასწავლებელმა პროცესშივე მოახდინა დავალებისა და მოკლევადიანი მიზნების მოდიფიცირება საჭიროებიდან გამომიმდინარე, რაც მიუთითებს მოსწავლის მხარდაჭერაზე და მისი საჭიროებების გაანალიზებაზე.

**ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კათედრის სხდომის ოქმით ჩანს, რომ ის წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომლის თითოეული წევრი ჩართულია პროცესის სრულყოფაში.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სასკოლო გეგმის ანალიზით ირკვევა, რომ კათედრები იკრიბებიან რეგულარულად მნიშვნელოვან საკითხებზე სამსჯელოდ და გადაწყვეტილებების მისაღებად. კათედრები თავიანთ ფუნქციებს შორის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გამოკვეთენ საგნობრივი ჯგუფების და მასწავლებლების კოორდინირების განხორციელებას. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას. სკოლაში ცალკეული კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ სხვა კათედრებთან თემატიკის შეთანხმებასა და გაკვეთილის ინტეგრირებაზე.

სკოლა აქტიურად იყენებს კომპლექსურ და გუნდურ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეში თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის უნარების გაღრმავებას უწყობს ხელს სათანადო პროდუქტის მისაღებად.
**ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე;**

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს.

მოსწავლეებს მათი შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. არ იზღუდება მოსწავლეთა არჩევანი.
კათედრა უზრუნველყოფს მოსწავლეებში მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის, სოციალური მხარდაჭერის თვისებების გაძლიერებას. სკოლა ახორციელებს სოციალურ და სამოქალაქო სწავლებას. ქმნის უსაფრთხო გარემოს სწავლისთვის, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. დავალებები შემუშავებულია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, აძლევს მათ თავისუფალი არჩევანის საშუალებას, რათა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები, შეხედულებები, იდეები და მოსაზრებები.

**ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო გეგმა;
- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალება, ადაპტირებული კომპლექსური დავალება;
- შეჯამების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
- გუნდური მუშაობის შეფასების რუბრიკა;
- პროექტები;
- ფოტომასალა;

შეფასება:
*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

1. სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგს,დირექციასთან ერთად მონიტორინგის პროცესში ჩართულია ხარისხის განვითარების ჯგუფი. ატარებენ დაგეგმილ საჩვენებელ გაკვეთილებს. ხარისხის მართვის ჯგუფთან ჩატარებულ გაკვეთილზე თვითრეფლექსიას ახდენს მასწავლებელი და კონსტრუქციულ, განმავითარებელ უკუკავშირს იღებს ჯგუფისგან.. ყოველი სემესტრის ბოლოს კლასის დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლების მიერ პედაგოგიური საბჭო ისმენს შემაჯამებელ ანგარიშს. როგორც თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავენ მომდევნო წლისთვის მოხდება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და მოახდენენ პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების დელეგირებას რომელსაც ასახავენ სკოლის კურიკულუმში. ასევე მოცემულ დოკუმენტაციაში საგნობრივი ოქმები ყველა საგანში წარმოდგენილია ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების დასახელება ,თუმცა ინსტრუმენტები სრულყოფილად თან არ ახლავს მოცემულ დოკუმენტს. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგს და შეფასებას ზეპირსიტყვიერად, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილს, სკოლაში მიმდინარე მონიტორინგი სასკოლო საზოგადოებისათვის მხოლოდ მხარდამჭერი ფუნქციის მატარებელია. მონიტორინგის დროს

წინასწარ შეთანხმებული შეფასების რუბრიკისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებელი იღებს კონსტრუქციული ხასიათის უკუკავშირს. ხდება მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა. სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის ინსტრუმენტისა და თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობისას ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა , რომ მონიტორინგის მთავარი მიზანია საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება, კათედრებზე განიხილება ყველა მასწავლებლის მოსაზრება და დამოკიდებულება გარკვეული საკითხის მიმართ და ისე ხდება გადაწყვეტილების მიღება. სასკოლო გეგმაში აღნიშნავენ რომ 23-24 წლისთვის შეიმუშავებენ პროექტების, ფორმალური და არაფორმალური აქტივობების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს რომელსაც ასახავენ კურიკულუმში. საგაკვეთილო დაკვირვებებისთვის წინასწარ შეიმუშავებენ განრიგს და გაწერენ პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებს.

**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

როგორც გასაუბრებისას ასევე სკოლის თვითშფასების დოკუმენტში აღნიშნავენ რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელიც გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული. პროექტებისა და ღონისძიებების შეფასება ხდება ზოგადად, ძირითადად ზეპირი განხილვით. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში, შევიმუშავეთ პრობლემის მოგვარების შესაფასებლად მექანიზმს: განმეორებითი დაკვირვება, მასწვალებლის რეფლექსია, მცირე კვლევა, მოსწავლეთა შედეგები იმის დასადგენად რამდენად მოგვარდა პრობლემა. ასევე აღნიშნავენ რომ პროექტებისა და ღონისძიებების შეფასებისათვის შეიმუშავებენ მონიტორინგის მოქნილ მექანიზმს, რომელიც დაეხმარება ანალიზის გაკეთებაში თუ რამდენად გადაიჭრა მოცემული პრობლემა. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგი ერთ-ერთი საშუალებაა იმის, რომ სწორად მოხდეს პრობლემის იდინტიფიცერება და დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები.

**ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- გამსაზღვრელი- განმავითარებლი შეფასების რუბრიკები

- კურიკულუმის ჩარჩო.
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების

იდენტიფიცირებაში და ა. შ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.3.2.2.შესაბამისია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები – ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.3.2.3.შესაბამისია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შეფასების პროცესში ურთიერთდაკავშირებულად, სხავადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კვლევის ინტერესი არის, მაგალითად, შემდეგი შინაარსის, მიზნობრივი კითხვები:

- რა პრობლემები გამოვლინდა მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების პროცესში?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარება?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარება? და ა. შ.

კვლევის ორიენტირი მოიცავს განსხვავებული კონტექსტებიდან ინფორმაციის შეგროვებას, როგორიც არის სკოლის ინსტიტუციური განვითარება, პედაგოგთა პროფესიული განვითარება და ა. შ .

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** თვითშეფასება.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის**

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. რეკომენდაციები, მეთოდოლოგიის მიხედვით, უზრუნველყოფს მყარ კორელაციას ,,დაწერილ" ,,შეთანხმებულ" და ,,აღსრულებულ" კურიკულუმს შორის. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომლის გაზიარებაც მოხდება სკოლის მასწავლებლებისათვის.

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და პედაგოგების ინტერვიუებიდან ირკვევა რომ სკოლა ჩართულია ,,ახალი სკოლის მოდელში'', რომლის ფარგლებში საგნობრივი ქოუჩები სისტემატიურად ხვდებოდნენ მათ და ხდებოდა საგნობრივი კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების ბანკის შექმნა, რომელსაც დღემდე წარმატებით იყენებენ საბაზო საფეხურზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ხორციელდება საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისია.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა / მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში მათი მონაწილეობის საკითხს.
- მოსწავლეთა შედეგებს, რომელიც შეეხება წინა სასწავლო წელთან მოსწავლეთა მიღწევებში არსებული ცვლილებების საკითხს.
- მშობლების ჩართულობა, რომელიც აღწერს, რამდენად გაიაზრეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია, მისი დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან.
- კათედრები, რომლიც შეეხება მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის დანერგვის საკითხებს.
- სკოლის დირექცია, რომელიც აღწერს რა ფაქტორები უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირება სკოლაში მიმდინარე და მმართველობით პროცესებთან.

პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საგნობრივ კათედრებს. სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მიღწევებს და მიგნებებს

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა ციკლური პროცესი არის და მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მასზე მუშაობა. სკოლა/ მათემატიკის კათედრა გეგმავს 2023-2024 წელს სასწავლო პროცესის წარმართვას გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმებით.

ამასთანავე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, საგნობრივი კათედრების იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის თვითშეფასების კითხვარის ფორმა
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** საგნობრივი კურიკულუმები
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი – (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". დოკუმენტი დამტკიცებულია 2023 წლის 25 ივლისის სკოლის დირექტორის N2-98 ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, დირექციის მუშაობა.

ამასთან მეთოდოლოოგიის მიხედვით, კურუკულმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწალო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.
სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით, საშუალო საფეხურის კურიკულუმით და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

საშუალო საფეხურის კურიკულუმში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. მოსწავლეთა ინტერესი, ასევე, გათვალისწინებული იქნა არჩევითი საგნის შეთავაზებისას საშუალო საფეხურზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება მოწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უშლიდა ან უწყობდა ხელს მათ ჩართულობას; მოსწავლეთა შედეგები, რამდენად გაუმჯობესდება წინა წელთან შედარებით. მშობელთა ჩართულობა, რამდენად შეძლეს მათ მისიის, ხედვისა და სასკოლო კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ პრიორიტეტებთან.
**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია საშუალო საფეხურის კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თითოეული მასწავლებელი აღწერს და კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, მონაწილეობას მიიღებს სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები შემუშავებულია კათედრის ყველა წევრის ჩართულობით მეთოდოლოგიის შესაბამისად.
**ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად

გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას: სკოლის ვებ.გვერდი, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, ორმხრივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა.

**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023 წლის 25 ივლისის სკოლის დირექტორის N2-98 ბრძანება. 2023-2024სასწ. წლისსასწავლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

### 2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

**მათემატიკა**-სსიპ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმები სრულად წარმოდგენილია მხოლოდ მე-10 კლასების. სკოლას მიეცა რეკომედაცია, რომ ახალი 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრებმა შეიმუშაონ დანარჩენი კლასების კურიკულუმებიც. როგორც წინა საფეხურების კურიკულუმები, ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ

განვითარებაზე. წარმოდგენილია საშუალო საფეხურის მე-10 კლასის ყველა საგნობრივი პროგრამის ჩარჩო. კათედრებს სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი, კათედრები მზად არიან კურიკულუმები დახვეწონ ურთიერთთანამშარომლობისა და გაზიარების საფუძველზე და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2023-2024 სასწავლო წლიდან.

**ქართულ ენასა და ლიტერატურაში** მე-10 და მე-12 კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში გარკვეული ხარვეზებია, კერძოდ არაა გაწერილი ცნებები ყველა თემატურ ერთეულში, მე-10 კლასში შესავსებია კომპლექსურ დავალებათა რაოდენობა, ორივე კლასში გასამიჯნია ძირითადი და დამატებითი ტექსტები და კონტექსტმაგალითები. კათედრას გაცნობიერებული აქვს ზემოთქმული და სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე აპირებს არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლის მიერ, საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურზე (გეოგრაფია,ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა) წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სწავლის პროცესი განხილულია, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. კურიკულუმებში ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. შედეგები განსაზღვრულია საფეხურის მიხედვით, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებში. კურიკულუმში თანმიმდევრულადაა აღერილი ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები ცალკეული თემებისთვის. სათანადოდაა განსაზღვრული შუალედური მიზნები სასწავლო შინაარსთან ერთად. კურიკულუმი ითვალიწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და წინარე ცოდნას.

კურიკულუმები აჩვენებს, რომ სკოლა უპირატესობას ანიჭებს კომპლექსური ბუნების დავალებებს. მოცემულ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები ისეა შედგენილი, რომ მისი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალათა განვითარების ხელშეწყობა. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესი განხილულ იქნეს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლე თავად აწარმოებს ცოდნის კონსტრუირებას.

სკოლას საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში განსაზღვრული აქვს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომელთა შესრულება მოსწავლისგან ითხოვს მრავალფეროვანი, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას და მიმართულია მის მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე. მოცემული დავალებები მიემართება საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურზე განსაზღვრულ გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით.

**მუსიკისა და ხელოვნების-** სწავლება მიმდიანარეობს სავალდებულ პროექტის სახით. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლას არჩეული პროექტი მუსიკაში,მაგრამ ინტერვიურებისას წარმოდგინეს პროექტის იდეა, მიზანი, პროექტის ფარგლბში განხორციელებული ეტაპები, პროექტის რეფლექსია, ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი 2023-2024 წლის პროექტის სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში , მასწავლებლემა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განხორციელებ პროექტებზე.

**ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

**მათემატიკა**-საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. საშუალო საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, ორივე სემესტრში მუშავდება პროექტები, მსჯელობას ამყარებს იუვესაიდის ბიზნეს ფორუმის ფარგლებში დაფინანსებული პროექტით სკოლის ეზოში მოწყობილი გარე სცენა, რომელიც ჯერ-ჯერობით დანერგვისა და შემუშავების ეტაპზეა. პროექტის ფარგლებში გაწერილია ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განუვითარდეს გლობალური ფუნქციური უნარები. პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლის მიერ, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კურიკულუმების ჩარჩოები, კომპლექსური დავალების იდეები და თავად კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ სათანადოდაა გააზრებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. მაგ: გეოგრაფიის მე-10 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები: ვიდეოკასტის მეშვეობით იმ ცვლილებების წარმოჩენა, რომელიც განიცადა გარემომ, მოსახლეობის განსახლებამ, დასაქმებამ და ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ (სილიკონის ველის მაგალითზე), ქვეყნისთვის მდგრადი ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე. საგანში: მოქალაქეობა წარმოდგენილა კომპლექსური დავალებების იდეები ადამიანთა უფლებების დაცვაზე, მოქალაქეობის არსზე, დეზინფორმაციისა და ყალბი ამბებისგან მომდინარე საფრთხეების განსაზღვრასა და მისგან პრევენციაზე.

**მუსიკისა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში-** მიმდინარეობს სავალდებულო პროექტული სწავლება. კათედრამ წარმოადგინა პროექტის მიზანი და მისი აღწერა ასევე ის აქტივობები რაც პროექტის მსვლელობის დროს განხორციელდა, ასევე აქვს წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სკოლამ ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ მომავალ სასწავლო წელს იგივე პროექტს განახორციელებს რაც წინა სასწავლო წელს, რადგან სასურველ შედეგზე გავიდნენ პროექტებით, პროექტული სწავლება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) თუმცა ეს ყველაფერი არ არის სრულყოფილად წერილობით ჩამოყალიბებული და მხოლოდ ინტერვიუს დროს იკვეთება.

**ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდიალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ, მაგალითისათვის მოიყვანეს ბიოლოგიის კომპლექსური დავალება მე-10 კლსში ,,უჯრედი როგორც საწარმო,“ სადაც მოსწავლეებმა უჯრედი განიხილეს როგორც ერთი რომელიმე საწარმო და ამ საწარმოს პერსონალს შეადარეს უჯრედის სტრუქტურული კომპონენტები თავიანთი შესასრულებელი ფუნქციებით. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში. მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლა აპირებს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება. კომპლექსურ დავალებათა იდეები შექმნილია ისე, რომ განსაზღვრულია მოსწავლეთა ასაკობრივი მახასიათებლები, ინდივიდუალური შესაძლებლობები და შესაძლებელია მისი მოდიფიცირება. გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას.

**ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია ყველა საგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებით, რომლის დახვეწასა და გადახედვასაც აპირებენ ახალ 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასებებში მოცემულია თუ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ასევე წარმოდგენილი აქვს ჯგუფური მუშაობის შეფასების

რუბრიკა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობის შესაფასებლად. შეფასება აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება და მათი დაკავშირება ერთმანეთთან. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერის განხორციელებას, რომლის მიზანია დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა.მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა ისეა შედგენილი, რომ აჩვენოს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას. შეფასებების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეს წინსვლაში.

**საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტული სწავლება სკოლას მეათე კლასში არჩეული ჰქონდა მუსიკაში,** ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ პროექტის მსვლელობისას ყველა გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძლეოდათ განმავითარებელი კომენტარი, რომლებიც ეხმარებოდა მოსწავლეებს პროგრესის საწარმოებლად. ყოველივე ზემოთქმულით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ნაწილობრივ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი;**

გასაუბრებისას კათედრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში. სასკოლო გეგმაში ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჩვეული ტრადიციაა, არსებული კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. შესამჩნევია და თავადაც აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებითა და მეთოდიკური ორიენტირებით სწავლება საშუალო საფეხურზე მეტად დასახვეწია, თუმცა მზაობა იმისა, რომ გამოცდილება გადაიტანონ პრაქტიკულ საქმიანობაში, დაეყრდნონ საშუალო საფეხურის ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, თვალსაჩინოა.

**ხელოვნება და მუსიკა:**კათედრამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სავალდებულო პროექტის შერჩევისას პრიორიტეტი მიანიჭა ისეთი თემის არჩევას რომელიც მოსწავლეებს გაუღრმავებდა ცნობიერებას, დამოკიდებულებას კულტურ მემკვიდრეობის ძეგლებთან, სკოლას აქვს წარმოდგენილი 2023-2024 წლის პროექტის იდეა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშერს რომ კვლავ ამ პროექტს განახორციელებდნენ ახალ სასწავლო წელს, რადგან სასურველ შედეგზე გავიდნენ, ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი

**რჩევა:**

სასურველია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოიყენონ შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები. საბუნებისმეტყველო საგნებში ექსპერიმენტებისა და ცდების განხორცილებებისას, აუცილებელია მოსწავლეებმა აწარმოონ დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, რათა თავად შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი გზები ძიება, რაც ეტაპობრივად დაეხმარება მათ სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარი სწავლების პროცესი.

სასურველია სკოლა ჩაებას STEM-საგნების გაძლიერების მიზნით სხვადასხვა სასკოლო, საერთაშორისო, სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ რეგიონალურ , თუ საერთასორისო პროექტებში.

**ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;**
- **მასწავლებლის  რეფლექსია;**
- **კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;**

შეფასება:

*o გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება; როგორც ინტერვიუშიც აღნიშნეს, დაკვირვების საფუძველზე, ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი (სკოლამ წარმოადგინა ასევე, ძველი კურიკულუმებიც).

2023-24 წლის კურიკულუმში აპირებენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და ამის მიხედვით დაგეგმონ დავალებები თუ საკლასო სასკოლო პროექტები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**სახელმწიფო ენა**-სასწავლო პროცესი სკოლაში წარმართულია იმგვარად, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა მონაწილეობას აქტიურ შემოქმედებით პროცესებში; პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, საბოლოო ნაშრომის შექმნა კი შემოქმედებითობას მოითხოვს, რაც საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს, ასევე სკოლაში შექმნილი დადებითი გარემო განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესებში.

საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კომპლექსური დავალებები რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებისგან მოითხოვს შემოქმედებითი უნარის გამოვლენას. ამასთანავე, სკოლა ახორციელებს რამდენიმე მნიშნელოვან პროექტს.

**ხელოვნება და მუსიკა:**კათედრასთან ინტერვიუს დროს ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციის სახით, სადაც აღწერილია პროექტის მიზანი და განხორცილებული აქტივობები. გაირკვა რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში, ასევე სკოლას აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, რომლის გათვალისწინებითაც მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართულები სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა .ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება განხორციელების პროცესის დასასრულს. კათედრებთან შეხვედრის დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის დაშენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.

**სახელმწიფო ენა-** საფეხურის კურიკულუმების მიხედვით, გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს ნაცნობ თემატურ კონტექსტებში(იხ. კურიკულუმის ჩარჩოები), კომპლექსური დავალებების განხორციელება კი თავის თავში გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახლის დაშენებას, კათედრებთან შეხვედრის დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის დაშენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები-** სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში საკითხები ისეა დალაგებულია, რომ წინარე ცოდნა წარმოადგენს ბაზისს ახალი ცოდნისთვის. კომპლექსური დავალებების განხორციელება ასევე გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურების აუცილებლობასს. სკოლამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გეგმავს ამ მიზნით დიაგნოსტიკური წერების ჩატარებასაც.

**ხელოვნება და მუსიკა:** სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმეტაცია აქვს წარმოდგენილი, ასევე 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, საბაზო საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი,რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას,მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად,რა ცოდნამ,გამოცდილებამ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს და სხვა. (იხ. კურიკულუმები, შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობები); აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შეფასებასა და ურთიერთშეფასებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლების სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობა სასწავლო პროცესში.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

**სახელმწიფო ენა**–სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი,რომ მოსწავლეს შეუძლია სწავლის ღირებულების განსაზღვრა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას,მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად,რა ცოდნამ,გამოცდილებამ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს და სხვა. (იხ. კურიკულუმები, შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობები); აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შეფასებასა და ურთიერთშეფასებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობა სასწავლო პროცესში. საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას. სკოლას დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვს მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს რა შეასრულა კარგად,რა ცოდნამ,გამოცდილებამ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს და სხვა.

**ხელოვნება და მუსიკა:** კათედრამ გასაუბრებისას წარმოადგინა განხორციელებული პროექტების რეფლექსია, მოსწავლის ნამუშევრები, მასწავლებლები ინტერვიუს დროს საუბრობენ რომ ისინი იგივე პროექტის განხორციელებას გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს, რადგან გავიდნენ სასურველ შედეგზე განხორციელებული პროექტებით, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა დეტალურად ისაუბრეს თუ როგორ იყენებენ პედაგოგები სხვადასხვა სტრატეგიებს, დაგეგმილი დავალებები მოსწავლეს აძლევს ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მოსწავლე თავად ახდენს შესრულებული დავლების ანალიზს,მას შეუძლია პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, მას შეუძლია სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად. შესაბამისად დგინდება თუ როგორ უზრუნველყოფს სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებში სწავლის უნარების ხელშეწყობას,

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

კომპლექსური დავალებები, რომლებიც მუშავდება სკოლის საბაზო საფეხურზე, პირდაპირ უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.მტკიცებულებად მოსწავლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს. ასევე გამოიკვეთა, რომ აპირებენ დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, რომლებიც მოწავლეებს მისცემს საშუალებას პირობისეული ცოდნა გამოავლინონ.

**სახელმწიფო ენა–**კომპლექსური დავალებები, რომლებიც მუშავდება სკოლის საშუალო საფეხურზე, პირდაპირ უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.მტკიცებულებად მოსწავლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** ვინაიდან სკოლის საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეები, ეს ხაზს უსვამს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისგან მოითხოვს როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნას, ასევე შემოქმედებითი უნარების გამოვლენას. კომპლექსური დავალებები ეფუძნება მოქმედებათა თანმიმდევრობის განსაზღვრას. მოცემული კომპლექსური დავალების იდეები და მაგალითები შედარებითვის იძლევა შესაძლებლობას ცოდნა გადაიტანონ რეალურ გარემოში და გამოიყენონ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

**ხელოვნება და მუსიკა:**საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მათთან ინტერვიუდან შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ საშაულო საფეხურზე მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) ყოველივე ზემოთხსენებულით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომ საშუალო საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

**ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

კათედრების მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის

მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

**სახელმწიფო ენა**–საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა **ქართულ ენასა და ლიტერატურაში,** საკვანძო ასპექტები,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას, კერძოდ, დავალების წარდგენისა და შემდგომ გასიტყვების პროცესი მოსწავლისაგან მოითხოვს ახსნას, იმსჯელოს, გამოავლინოს მიმართებები ქვესაკითხებს შორის დაასაბუთოს, მოყვანილი არგუმენტების/წყაროების შესაბამისობა და მართებულობა. ქართულის კათედრასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ასევე აქვს საგანთან ინტეგრირების გამოცდილებაც (მაგ. ქართული და გეოგრაფია...).

ზემოთქმულიდან გამომდინარე,საფეხურის კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

**ხელოვნება და მუსიკა:**ორივე საგნის პროექტში ( მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) არის განსაზღვრული სასწავლო მიზნები/საკითხები/ სწავლების სტრატეგიები რომელიც დაფუძნებულია ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრების, ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებასთან . კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პროექტებისა და კლუბების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- თემატური მატრიცები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;

## 2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

**სახემწიფო ენა**-საშუალო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, თუმცა, წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში სამიზნე ცნებები მუშავდება საგნობრივ საკითხებზე, კონკრეტულ თემაზე დაყრდნობით, შესაბამისად, უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. ქართულის კათედრის მიერ წარმოდგენილ დანართებში, საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში, თანდართულ მატრიცებში გაწერილია სამიზნე ცნებები,მკვიდრი წარმოდგენები,საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები,რაც განსაზღვრავს იმ ცოდნას,რომელსაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ცხადი გახდა, რომ ისინი სწორად იაზრებენ მიმართებებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის და მათ მიერ განხორციელებულ თუ სამომავლოდ დაგეგმილ დავალებებში გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა საგნობრივ კონტექსტში განიხილება.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** კურიკულუმების აგებისას გათვალისწინებულია კონკრეტული საგნის სამიზნე ცნებები. ასევე, სამიზნე ცნებების დაკმაყოფილება ხდება საკითხებით და საკითხთა კლასტერებით. მაგ: ისტორიაში ცნება- სივრცე მიიღწევა მათ შორის ისეთი საკითხებით, როგორებიცაა : ძველი აღმოსავლეთი, ახლო აღმოსავლეთი. ცნება ,,მმართველობის ფორმა" საკითხებით: დარიოსის რეფორმები, ქსერქსეს რეფორმები და ა.შ გეოგრაფიაში ცნება ,,მოსახლეობა და მეურეობა" მიიღწევა საკითხით მეხუთეული დარგები, ტურიზმი და ა.შ. მოქალაქეობაში ცნება - დემოკრატია მიიღწევა საკითხებით: ადამიანთა უფლებები და ა.შ შესაბამისად, საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ის მიემართოს სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებს.

**მუსიკა და ხელოვნება:** სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ) პროექტული სწავლება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. სამიზნე ცნენები ქვეცნებები მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

**ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

**სახელმწიფო ენა–** ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებაზე, საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, განსაკუთრებით კი გასიტყვების ეტაპი აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები, ისაუბრონ სწავლის სტრატეგიებზე, რა გაუჭირდათ, რა გაუადვილდათ, როგორ დაგეგმეს საკუთარი საქმიანობა კონკრეტული დავალების შესასრულებლად და ა.შ. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე.

თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს:,,მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმშიც გავითვალისწინებთ ისეთ კონტექსტებს, როგორიცაა: ემპათია, პრობლემის გადაჭრა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ტოლერანტობა და ა.შ.. კათედრასთან შეხვედრისასაც გამოიკვეთა მათი ეს სამომავლო გეგმები.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას. მოსწალეებმა უნდა იმუშაონ დავალებებზე, რომელთა მიზანია მოსწავლეებში ხელი შეუწყოს გარემოზე ზრუნვის, ტოლერანტობის, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის და სხვა ძირითადი უნარების განვითარებას. დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში მდგრადი განვიტარების პრინციპების გათავისებას. კონტექსტ მაგალითები მოცემულია ისე, რომ მოსწავლეებმა მარტივად შეძლონ ნასწავლის რეალურ გარემოში გადატანა.

**მუსიკა და ხელოვნება:** საშუალო საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ) პროექტული სწავლება რომელიც სკოლას მეათე კლასში ჰქონდა არჩეულილი მუსიკაში რომელზეც ინტერვიურებისას დეტალურად ისაუბრა პედაგოგმა განხორციელებული პროექტის, მიზანიებსა და აქტივობებზე ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. განხორციელებული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო–ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა– საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას.

**ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

**სახელმწიფოენა**კათედრამწარმოადგინაშეფასების რუბრიკები,(კითხვის,წერის,ჩართულობის,ზეპირმეტყველების,პრეზენტაციის)ასევე აქვთ სოლო ტაქსონომიით კომპლექსური დავალებების შეფასების გამოცდილება,გაცნობიერებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა სწავლა-სწავლების პროცესში, უპირატესობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, შერჩეული აქვთ განმსაზღვრელი

შეფასების პირველი მოდელი ,ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან , თემებთან მიმართებით,სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით, შქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს *სამივე საფეხურისთვის*, ხოლო სტანდარტის ზოგად ინდიკატორებსა და დავალების კრიტერიუმეზე დაყრდნობით შექმნიან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს X-XII კლასებისთვის.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების შესახებ კათედრის შეხვედრებზე; კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლისგან იღებენ მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ ინფორმაციას. კათედრაზევე გეგმავენ სადიაგნოსტიკო წერის შედეგებს შეფასებას და მის შესაბამისად აქტივობების დაგეგმვას.

**ხელოვნება და მუსიკა:** მეათე კლასის პროექტული სწავლება რომელიც 2022-2023 წელს განხორციელდა მუსიკაში მოსწავლეები შეფასდნენ განმავითარებელი შეფასებით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ პროექტული სწავლება შეაფასეს განმავითარებელი შეფასებით. და ყველა ნაბიჯზე მათ ეძლეოდათ განმავითარებელი კომენტარი, რომელიც ორიენტირებული იყო მოსწავლეების პროგრესზე.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

**ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

**მათემატიკა**-სკოლაში ხარისხის ჯგუფთან ერთად შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი მუშაობს,რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო,ობიექტური, სამართლიანი. ინფორმაცია შეფასების თაობაზე მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ჟურნალის საშუალებით; კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას.

**სახელმწიფო ენა**-შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია,მომავალი სასწავლო წლისათვის **ქართულის კათედრა საშუალო** საფეხურისთვის გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას,მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების მეთოდოლოგიას,შეფასების კრიტერიუმებს, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს,გამოკვეთენ,რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება,შესაბამისად,შეფასება იქნება ვალიდური.მოსწავლეებს ეცოდინებათ,თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა- ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე,ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ნიშანი და ქულა იქნება რეალისტური ,დახვეწილი და არაორაზროვანი.,ამ შემთხვევაში ,კი, შეფასება იქნება სანდო.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები დგინდება კათედრის ერთობლივი მუშაობით. შეფასებებისთვის გაცნობის შესაძლებლობა აქვთ მოსწავლეებს. სკოლას გააჩნია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ვალიდობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის აუცილებელი მახასიათებლები. ამავე დოკუმენტში ასახულია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის; დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

**ხელოვნება და მუსიკა:**სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, სადაც არის წარმოდგენილი( მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს ნათალად ჩანს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლები წინასწარ ეცნობიან შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. ყოველივე ზემოთხსენებულზე.

**ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია", დოკუმენტის თანახმად სკოლაში შექმნილია ვერიფიკაციის ჯგუფი, ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებენ ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები.

**ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გაირკვა, რომ სკოლა აწარმოებს განხორციელებული პროექტების შეფასების ანალიზს, მათ აქცთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული, ისინი ყოველივე ამაზე დაკვირვებით ახდენენ მონიტორინგს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით
.

საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიმდინარე და საბოლოო განმავითარებელი შეფასებები შეტანილია ელექტრონულ ჟურნალში და მოსწავლის პირად საქმეში. სასურველია სკოლამ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ინსტრუქცია
- კურიკულუმები, კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები (განმავითარებელი შეფასება ჩაშენებულია კომპლექსურ დავალებებში)
- შემაჯამებლის ანალიზები
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

## 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლას 2023-2024 წლისთვის შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები და ა.შ. სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას როგორებიცაა: პრობლემის ამოცნობა და გადაჭრა, გადაჭრის გზების ძიება და ყველაზე ოპტიმალურის არჩევა. კრიტიკული აზროვნება, რომელიც ეფუძნება ფაქტების, წარმოდგენების მოსაზრებების კრიტიკულად განხილვასა და გაანალიზებას, შეკითხვების ჩამოყალიბებას, საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებასა და ა.შ. სკოლის მიზანია მოსწავლეში განავითაროს შემოქმედებითი აზროვნება, რომლისთვისაც ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. მოცემულ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები ისეა შედგენილი, რომ მისი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძლათა განვითარების ხელშეწყობა. სკოლას საგნებში: ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა განსაზღვრული აქვს რამდენიმე კომპლექსური დავალება,

რომელთა შესრულება მოსწავლისგან ითხოვს მრავალფეროვანი, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას და მიმართულია მის მიერ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე.

სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას.

სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს სოლიდარობის განცდის, განსხვავებულის მიმღებლობისა და საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების ღირებულებები.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი მახასიათებლებით და ეს გათვალიწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ სასწავლო პროცესი იყოს ინტერაქციული და მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს და მის კავშირს სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებასთან.

კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ შედგენილი საგნობრივი პროგრამები აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდის საშუალებას.

სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე.

კათედრის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს ის.

სკოლა თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს შეხვედრები უფროსკლასელებთან.

სკოლა ითვალისწინებს სკოლაში მიღების, ექსტერნისა და სხვა პროცესებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ წესებს.

სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამის სასწავლო გარემოს. ამასთანავე, სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო.

**ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლა USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს პროექტს: ,,სამოქალაქო კლუბი-ტოლერანტები,“ რომლის მიზანია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და მათი აქტიურად ჩართვა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში, სკოლასა და თემში. პროექტის ფარგლებში, სკოლა იწვევს ექიმებს და სპორტსმენებს ჯანსაღი ცხოვრების აუცილებლობაზე სასაუბროდ. ასევე, პროექტის ფარგლებში მომზადებულია ბროშურები თემაზე: ,,ადიქცია და მისი უარყოფითი შედეგები.“ სკოლა აწყობს სპორტულ ღონისძიებებს.

საშუალო საფეხურის მოსწავლეები გეგმავენ განახორციელონ ხანგრძლივი პროექტი ,,ჩვენ ვქმნით მომავალს“, რომლის ფარგლებში სკოლის სიახლოვეს უნდა მოეწყოს სკვერი, რათა გაჩნდეს სივრცე ახალგაზრდებისთვის. სკოლა ასევე ახორციელებს პროექტს: ,,ჩვენ ვბრუნდებით წიგნებთან“, რომლის ფარგლებშიც ცდილობს გაამრავალფეროვნოს ბიბლიოთეკა, დაგეგმოს წაკითხულზე დისკუსიები, ცდილობს შეუწყოს ხელი

მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენას და ა.შ. მრავალფეროვანი პროექტები მიუთითებს, რომ მოსწავლისთვის მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შექმნილია მხარდამჭერი გარემო და სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

სკოლის მიერ, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კურიკულუმების ჩარჩოები, კომპლექსური დავალების იდეები და თავად კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ სათანადოდაა გააზრებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დავალებები და კურიკულუმები ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მოცემული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მოითხოვს მისგან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებს. უვითარებს მოქალაქეობისა და პასუხისმგებლობის თვისებებს და ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. მაგ: გეოგრაფიაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მდგრადი განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობაზე, ადამიანის საქმიანობის შედეგად გარემოს ცვლილებასა და ა.შ ცხოველებისა და მცენარეების დაცვის აუცილებზლობაზე. მოალაქეობაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოქალაქეობის არსსა და მნისვნელობაზე, დეზინფორმაციისა და ყალბი ამბებისგან მომავალი საფრთხეების თავიდან აცილების გზების შემუშავებაზე, ადამიანთა უფლებების დაცვაზე და ა.შ. მოსწავლეებმა უნდა შექმნან სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროდუქცია, როგორებიცაა: ბუკლეტები, სტატიები, ვოდკასტი, ვიდეორგოლი და ა.შ.  კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე და პოზიტიური ქცევის განმტკიცებაზე.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. წარმოდგენილი მე-12 დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლა ეცდება კიდევ უფრო დახვეწოს სასწავლო კურიკულუმები. ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების უკეთესი მონიტორინგისთვის გეგმავს 2023-2023 წლიდან ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა ატარებს ყოველწლიურ ტესტირებას ამავე მიზნით.

**ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 3.  სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კათედრის სხდომის ოქმით ჩანს, რომ ის წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომლის თითოეული წევრი ჩართულია პროცესის სრულყოფაში.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სასკოლო გეგმის ანალიზით ირკვევა, რომ კათედრები იკრიბებიან რეგულარულად მნიშვნელოვან საკითხებზე სამსჯელოდ და გადაწყვეტილებების მისაღებად. კათედრები თავიანთ ფუნქციებს

შორის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გამოკვეთენ საგნობრივი ჯგუფების და მასწავლებლების კოორდინირების განხორციელებას. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას. სკოლაში ცალკეული კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ სხვა კათედრებთან თემატიკის შეთანხმებასა და გაკვეთილის ინტეგრირებაზე.

სკოლა აქტიურად იყენებს კომპლექსურ და გუნდურ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეში თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის უნარების გაღრმავებას უწყობს ხელს სათანადო პროდუქტის მისაღებად.

**ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს.

მოსწავლეებს მათი შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. არ იზღუდება მოსწავლეთა არჩევანი.

კათედრა უზრუნველყოფს მოსწავლეებში მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის, სოციალური მხარდაჭერის თვისებების გაძლიერებას. სკოლა ახორციელებს სოციალურ და სამოქალაქო სწავლებას. ქმნის უსაფრთხო გარემოს სწავლისთვის, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. დავალებები შემუშავებულია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, აძლევს მათ თავისუფალი არჩევანის საშუალებას, რათა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები, შეხედულებები, იდეები და მოსაზრებები.

**ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო გეგმა, კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალება;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება;
- შეჯამების ოქმი;
- კათედრის სხდომის ოქმი;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
- გუნდური მუშაობის შეფასების რუბრიკა;
- პროექტები;
- ფოტომასალა;

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგს,დირექციასთან ერთად მონიტორინგის პროცესში ჩართულია ხარისხის განვითარების ჯგუფი. ატარებენ დაგეგმილ საჩვენებელ გაკვეთილებს. ხარისხის მართვის ჯგუფთან ჩატარებულ გაკვეთილზე თვითრეფლექსიას ახდენს მასწავლებელი და კონსტრუქციულ, განმავითარებელ უკუკავშირს იღებს ჯგუფისგან.. ყოველი სემესტრის ბოლოს კლასის

დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლების მიერ პედაგოგიური საბჭო ისმენს შემაჯამებელ ანგარიშს. როგორც თვითშფასების დოკუმენტში აღნიშნავენ მომდევნო წლისთვის მოხდება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და მოახდენენ პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების დელეგირებას რომელსაც ასახავენ სკოლის კურიკულუმში. ასევე მოცემულ დოკუმენტაციაში საგნობრივი ოქმები ყველა საგანში წარმოდგენილია ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების დასახელება ,თუმცა ინსტრუმენტები სრულყოფილად თან არ ახლავს მოცემულ დოკუმენტს.

**ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისია.**

**ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგს და შეფასებას ზეპირსიტყვიერად, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილს, სკოლაში მიმდინარე მონიტორინგი სასკოლო საზოგადოებისათვის მხოლოდ მხარდამჭერი ფუნქციის მატარებელია. მონიტორინგის დროს წინასწარ შეთანხმებული შეფასების რუბრიკისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებელი იღებს კონსტრუქციული ხასიათის უკუკავშირს. ხდება მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა. სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის ინსტრუმენტისა და თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობისას ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა , რომ მონიტორინგის მთავარი მიზანია საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება, კათედრებზე განიხილება ყველა მასწავლებლის მოსაზრება და დამოკიდებულება გარკვეული საკითხის მიმართ და ისე ხდება გადაწყვეტილების მიღება. სასკოლო გეგმაში აღნიშნავენ რომ 23-24 წლისთვის შეიმუშავებენ პროექტების, ფორმალური და არაფორმალური აქტივობების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს რომელსაც ასახავენ კურიკულუმში. საგაკვეთილო დაკვირვებებისთვის წინასწარ შეიმუშავებენ განრიგს და გაწერენ პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებს.

**ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისია.**

**ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

როგორც გასაუბრებისას ასევე სკოლის თვითშფასების დოკუმენტში აღნიშნავენ რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელიც გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული. პროექტებისა და ღონისძიებების შეფასება ხდება ზოგადად, ძირითადად ზეპირი განხილვით. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში, შევიმუშავეთ პრობლემის მოგვარების შესაფასებლად მექანიზმს: განმეორებითი დაკვირვება, მასწვალებლის რეფლექსია, მცირე კვლევა, მოსწავლეთა შედეგები იმის დასადგენად რამდენად მოგვარდა პრობლემა. ასევე აღნიშნავენ რომ პროექტებისა და ღონისძიებების

შეფასებისათვის შეიმუშავებენ მონიტორინგის მოქნილ მექანიზმს, რომელიც დაეხმარება ანალიზის გაკეთებაში თუ რამდენად გადაიჭრა მოცემული პრობლემა. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგი ერთ-ერთი საშუალებაა იმის, რომ სწორად მოხდეს პრობლემის იდინტიფიცერება და დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები.

**ინდიკატორი 2.3.1.3. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- გამსაზღვრელი- განმავითარებლი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის ჩარჩო.
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების

დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად

**ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა. შ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად

**ინდიკატორი 2.3.2.2.შესაბამისია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად

**ინდიკატორი 2.3.2.3.შესაბამისია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შეფასების პროცესში ურთიერთდაკავშირებულად, სხავადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კვლევის ინტერესი არის, მაგალითად, შემდეგი შინაარსის, მიზნობრივი კითხვები:

- რა პრობლემები გამოვლინდა მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების პროცესში?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარება?
- როგორ მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარება? და ა. შ.

კვლევის ორიენტირი მოიცავს განსხვავებული კონტექსტებიდან ინფორმაციის შეგროვებას, როგორიც არის სკოლის ინსტიტუციური განვითარება, პედაგოგთა პროფესიული განვითარება და ა. შ .

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად

**ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** თვითშეფასება.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის**

შეფასება:

*o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. რეკომენდაციები, მეთოდოლოგიის მიხედვით, უზრუნველყოფს მყარ კორელაციას ,,დაწერილ" ,,შეთანხმებულ" და ,,აღსრულებულ" კურიკულუმს შორის. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომლის გაზიარებაც მოხდება სკოლის მასწავლებლებისათვის.

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და პედაგოგების ინტერვიუებიდან ირკვევა რომ სკოლა ჩართულია ,,ახალი სკოლის მოდელში", რომლის ფარგლებში საგნობრივი ქოუჩები სისტემატიურად ხვდებოდნენ მათ და ხდებოდა საგნობრივი კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების ბანკის შექმნა, რომელსაც დღემდე წარმატებით იყენებენ საბაზო საფეხურზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ხორციელდება საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისია.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა / მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში მათი მონაწილეობის საკითხს.
- მოსწავლეთა შედეგებს, რომელიც შეეხება წინა სასწავლო წელთან მოსწავლეთა მიღწევებში არსებული ცვლილებების საკითხს.
- მშობლების ჩართულობა, რომელიც აღწერს, რამდენად გაიაზრეს მშობლებმა სკოლის ფილოსოფია, მისი დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან.
- კათედრები, რომლიც შეეხება მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის დანერგვის საკითხებს.
- სკოლის დირექცია, რომელიც აღწერს რა ფაქტორები უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირება სკოლაში მიმდინარე და მმართველობით პროცესებთან.

პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საგნობრივ კათედრებს. სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მიღწევებს და მიგნებებს

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა ციკლური პროცესი არის და მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მასზე მუშაობა. სკოლა/ მათემატიკის კათედრა გეგმავს 2023-2024 წელს სასწავლო პროცესის წარმართვას გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმებით.

ამასთანავე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, საგნობრივი კათედრების იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** სკოლის თვითშეფასების კითხვარის ფორმა
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** საგნობრივი კურიკულუმები
- **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის** მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

*0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თავმჯდომარე: თამარ აბაზაძე

ვერა ბენიძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ეკატერინე გურგენაშვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ელენე კურდღელია საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი

ნათელა ბასილია უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი

თამარი ჩიმაკაძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

თეა ხუროშვილი ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნანი სალია მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მარინე ხუციშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ლელა მანგოშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

კობა დეკანაძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი

თარიღი:01 .11.2023